


საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საცემში, ბოგბინც ბეჭდ-
უჭი სიფყვას, ცყდილებით და ჭბბბბბბბბ
თის გატანა ყველა უჯანბბბბბბ უსამბბბბბბ.

სამშაბათი, 10 ოქტომბერი. 2017 წ. №208 (8345), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თაბბბ.

...გაპნბბბბბბბბ ბბბბბბ ნაბბბბბბბბ და ③ სიბბბბბბბბ ბბბბბბ...

OTAKATA
სუდ ხაბბბბბბბბ ბბბბბბ ბბბბბ
ბბბბბბბბ, ბბბბბბბბ ბბ ბბბბბბ ბბბბბბბბ



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, სააკადემიო კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დამაარსებელი და მისი ხელმძღვანელი, აკადემიკოსი

ფრიდონ თოდუა
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია დიდი გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაიცვალა ჩვენი დროის ერთ-ერთი ფრიად ღვაწლმოსილი, ჭეშმარიტად სახალხო მკურნალი, თავისი არცთუ ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე მრავალი სიცოცხლის გადამრჩენელი, დიდი მოქალაქე და მამულიშვილი, აკადემიკოსი

ფრიდონ თოდუა
და სამძიმარს უცხადებს როგორც განსვენებულის ოჯახს, ისე მთელ ჩვენს მაღლიერ საზოგადოებას.

პრეზიდენტმა კონსტიტუციის 6 პუნქტს ვებო დაადო

საპარტოპელოს პრეზიდენტმა კონსტიტუციის ახალ პროექტს ვებო დაადო. მოტივირებული შენიშვნები კონსტიტუციის 6 საკითხს ეხება. როგორც მარგველაშვილმა განაცხადა, შენიშვნების 4 საკითხი არის „ქართული ოცნების“ მიერ ვენეციის რეკომენდაციით აღებული ვალდებულება. კერძოდ, ბონუსის სისტემა, ბლოკების, საკონსტიტუციო სასამართლოს და აღმსარებლობის თავისუფლების საკითხი, მესუთე საკითხი, რომელსაც პრეზიდენტმა ვებო დაადო, ეხება საარჩევნო სისტემას, კერძოდ 2020 წლისთვის მაჟორიტარობის გაუქმებას და სრულად პროპორციულზე გადასვლას, ხოლო ბოლო საკითხი არის პრეზიდენტის არჩევის წესის არსებული რედაქციით დატოვება მანამ, სანამ პარლამენტი ორპალატიან სისტემაზე არ გადავა. პრეზიდენტის განცხადებით, მოტივირებული შენიშვნები სამოქალაქო საზოგადოებას, პოლიტიკურ პარტიებსა და მოქალაქეებთან არსებული კონსენსუსით იქნა მიღებული.



© დღის ამოჯაწურიდან

– როგორც ჩანს, ელისაშვილ ალეკოს წინასაარჩევნო გამოსვლა მოისმინეს და ამიტომ, პარიზიდან, ლონდონიდან და ვაშინგტონიდანაც სთხოვენ, არა ჩვენი მერი გახდით, არა ჩვენიო.

– ვნახოთ, რომელი ქალაქის მერობას არჩევს ეს ჩვენი ალეკო.

– ვითომ თბილისს უღალატებს?!


ღროჯა ამოვლოთ ლაბაში!

როსა სინამდვილას თვალს ④⑤ არ ვუსწორებთ...



ანტიკურობიდან – დღევანდელთაგან

ერს თავისი ⑦ ისტორია იცავს!



ხელისუფლება აბრკალებს ფინანსური რისკების მართვას, საგადასახადო სამსახურის გაძლიერებას და საჯარო სამსახურის ეფექტურობის ზრდას. ხელისუფლების მიზანია, ფინანსური რისკების საჯაროობის და

ხელისუფლება აბრკალებს ფინანსური რისკების მართვას, საგადასახადო სამსახურის გაძლიერებას და საჯარო სამსახურის ეფექტურობის ზრდას. ხელისუფლების მიზანია, ფინანსური რისკების საჯაროობის და



საჯარო ფინანსების მართვის გამჭვირვალობის კიდევ უფრო გაუმჯობესება, — განაცხადა სსფ-ის მისიის ხელმძღვანელმა მერსედეს ვერა-მარტინმა საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამის პირველი მიმოხილვის დასრულებასთან დაკავშირებით გამართულ ბრიფინგზე.

მისი თქმით, არსებული მონეტარული პოლიტიკა ვითარების შესაბამისია და ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფისკენ არის მიმართული. მისია ასევე მიესალმება პროგრეს სტრუქტურულ რეფორმებში.

„მნიშვნელოვანი გადამწყვეტი ნაბიჯები შედეგად მოიტანს სწრაფ და ინკლუზიურ ზრდას. პრიორიტეტულია საჯარო ინვესტიციების დაჩქარება, ბიზნესგარემოს გაუმჯობესება, განათლების რეფორმა და მართვის სისტემების დახვეწა,“ — გა-

ნაცხადა სსფ-ის მისიის ხელმძღვანელმა მერსედეს ვერა-მარტინმა.

საქართველოს ეკონომიკის მაკროზრდამს გონივრულად აპოლიტიკა შეუწყო ხელი

საქართველოში დასრულდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ორკვირიანი სამუშაო ვიზიტი. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა დადებითად შე-

აფასა „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმით“ (Extended Fund Facility) საქართველოში მიმდინარე პროგრამის პირველი მიმოხილვა.

სსფ-ის მისიის დონეზე, საქართველოს ხელისუფლებასთან მიღწეულ შეთანხმებას სსფ-ის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭო ნოემბერში განიხილავს და დამტკიცების შემთხვევაში საქართველოსთვის ხელმისაწვდომი გახდება პროგრამის მეორე ტრანში 30 მილიონი ესდერის (42.3 მილიონი აშშ დოლარის) ოდენობით. ამით მიმდინარე პროგრამის ჩამორიცხვები 60 მილიონ ესდერს (84.6 მილიონ დოლარს) გაუტოლდება.

ლიმიტრი ქუშინიანი: პროგრამა სრულად ეფუძნება მთავრობის 4-პუნქტიანი რეფორმების გეგმას, — განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუშინიანმა საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამის პირველი მიმოხილვის დასრულებასთან დაკავშირებით გა-

პროგრამა, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდთან თანამშრომლობით მიმდინარეობს, სრულად ეფუძნება საქართველოს მთავრობის 4-პუნქტიანი რეფორმების გეგმას, — განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუშინიანმა საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამის პირველი მიმოხილვის დასრულებასთან დაკავშირებით გა-

მართულ ბრიფინგზე. როგორც პირველმა ვიცე-პრემიერმა აღნიშნა, მთავრობის ამბიციურ, საშუალოვადიან პერიოდში ქვეყანაში გატარდეს უმნიშვნელოვანესი რეფორმები, მათ შორის, საპენსიო რეფორმა; კაპიტალის ბაზრის რეფორმა; საჯარო-კერძო პარტნიორობის ეფექტიანი სქემის შექმნა; მინის რეფორმა და სხვ.

„2018-2021 წლებში დაგეგმილია მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელება სახელმწიფო ინფრასტრუქტურაში, რომელმაც უნდა წაახალისოს ინვესტიციები და ეკონომიკური აქტივობა კერძო სექტორში, რამაც, საბოლოო ჯამში, ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის რეგიონებისა და მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას,“ — განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა.

კრიმინალის დონე საქართველოში ძალიან დაბალია, მაგრამ ეს დამშვიდების საშუალებას არ გვაძლევს, — აცხადებს შს მინისტრი. მისივე თქმით, უწყება განვითარებაზე მუდმივად ფიქრობს და ამის ნათელი მაგალითია ერთობლივი ოპერაციების ცენტრი, რომელიც შსს-ში ერთი წლის წინათ შეიქმნა.



„უსაფრთხოების ინდექსით საქართველო ერთ-ერთი მონივრეულობის იკავებს სხვადასხვა რეიტინგებით. მიუხედავად ამისა, ჩვენ მუდმივად ფიქრობთ განვითარებაზე და ერთობლივი ოპერაციების ცენტრიც სწორედ ამას ემსახურება, რომ ამაღლდეს ჩვენი მოსახლეობის უსაფრთხოების ხარისხი და ჩვენც ეფექტურები ვიყოთ, როგორც რეაგირების, ასევე პრევენციის ნაწილში. კრიმინალის დონე საქართველოში ძალიან დაბალია, მაგრამ ეს დამშვიდების საშუალებას არ გვაძლევს,“ — განაცხადა მღებრიშვილმა.

„უსაფრთხოების ინდექსით საქართველო ერთ-ერთი მონივრეულობის იკავებს სხვადასხვა რეიტინგებით. მიუხედავად ამისა, ჩვენ მუდმივად ფიქრობთ განვითარებაზე და ერთობლივი ოპერაციების ცენტრიც სწორედ ამას ემსახურება, რომ ამაღლდეს ჩვენი მოსახლეობის უსაფრთხოების ხარისხი და ჩვენც ეფექტურები ვიყოთ, როგორც რეაგირების, ასევე პრევენციის ნაწილში. კრიმინალის დონე საქართველოში ძალიან დაბალია, მაგრამ ეს დამშვიდების საშუალებას არ გვაძლევს,“ — განაცხადა მღებრიშვილმა.

ნარმანიას ახალი სამსახური

„პირველი რადიოს“ ინფორმაციით, დავით ნარმანიას თბილისის მერის პოსტზე უფლებამოსილების ამონაწილის შემდეგ მუშაობას ენერჯეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში გააგრძელებს. ინფორმაციის თანახმად, ნარმანიას ამ პოსტზე სახელისუფლებო გუნდი წარადგინებს. რამდენიმე დღის წინათ შეკითხვაზე, თუ სად გააგრძელებს მუშაობას მერობის დასრულების შემდეგ — ნარმანიამ განაცხადა, რომ მის დასაქმებაზე გუნდში კონსულტაციები მიმდინარეობს...

თბილისი — 2017

დღესასწაულის სიტოტი გამთბარი ღვინო

ამინდობა ხელი შეუწყო თბილისის დღესასწაულის აღნიშვნას და ორგანიზატორებმაც უკვე მერამდენედ გამოიჩინეს დღესასწაულის ლაზათიანად გაძლიერების უნარი და მდიდარი ფანტაზია.

სექტემბერში გადმოსული ზაფხულის ხვადისა და თვის მინურულს საკმაოდ ხანგრძლივი გაავრდების შემდეგ კვლავ თბილი დღეები შემობრუნდა და დაქალაქში და თბილის-ქალაქობის დღესასწაულის აღნიშვნის საზეიმო განწყობა კიდევ უფრო გაგვიხალისა.

ჩვეული ხალხმრავლობა იყო გასულ შაბათ-კვირას თბილისის აღნიშვნის ძველ ტრადიციულ და ამ მხრივ შედარებით ახალ უბნებში, თუმცა კი მხიარულება ერთიანად ყველგან სუფევდა. მათ შორის უამრავი სტუმარი ჰყავდა დავით აღმაშენებლის აღმოსავლეთ, არც თუ დიდი ხნის წინათ საფეხმავლო უბნად გადაქცეულ ნაწილს, სადაც ბავშვებისთვის განსაკუთრებით გულგა-

სახარი რამდენიმე ღონისძიება ტარდებოდა. ბიჭუნებზე მეტად პატარა გოგონები ხარობდნენ — აქ მათთვის შემოდგომის უღამაზესი ყვავილებისგან ხუთწუთში ჭეშმარიტად საუფლისწულო გვირგვინებს უწნავდნენ ხელმარჯვე ქალიშვილები...

ტრადიციულად ბევრი სტუმარი ჰყავდა რიყის პარკსა და ევროპის მოედანს. საგანგებო სცენებზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხისა და დედაქალაქის სხვადასხვა უბნის ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები, მომღერალთა გუნდები, ენობოდა შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. მეტეხის ხიდზე გამვლელებს თვალს წყვეტდნენ დიდი სიყვარულითა და გემოვნებით განახლებული რეტრო-ავტომანქანები, აბანოუბანში კი, ხალხური რენვის ნიმუშების შექმნასთან ერთად, მოზეიმე ხალხს ჩვენებური სამზარეულოს კერ-



ძების დაგემოვნებაც შეეძლოთ, ასევე საკუთარი თვლით ენახათ, როგორ იხარშება ფელამუში და თავადვე ამოველო ჩურჩხელები.

თბილისის დღესასწაულის ყველაზე გამორჩეული მოვლენა მუდამ საპატრიო მოქალაქეთა დასახელება გახლდათ. ასე იყო ამ ჯერზეც, როცა ლელეთხევიც დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ ამ უაღრესად საპატიო ნოდების ცამეტი ახალი მფლობელი დაასახელა. ესენი გახლავან: მომღერალი ლადო ათანელი, ევროკომისარი იოჰანეს პანი, ჩოგბურთელი ალექსანდრე მეტრეველი, ლიტერატორი, ჟურნალისტი თამაზ ტყემალაძე, სწავლული მედიკოსი, აკადემიკოსი რომან შაქარიშვილი,

ექიმი-კარდიოლოგი, აკადემიკოსი გულნარა ჩაფიძე, მეცნიერი ქიმიკოსი, აკადემიკოსი ვიქტორ ქემერტელიძე, კომპოზიტორი ვაჟა დურგლიშვილი, კომპოზიტორი, ნოვატორი მუსიკოსი თამაზ ყურაშვილი, მსახიობი, რეჟისორი და სცენარისტი მერაბ თავაძე, კალათბურთელი ზაზა ფაჩულია, სპორტული ჟურნალისტი, პუბლიცისტი და ფოტოგრაფი დემიკო ლოლაძე, მთარგმნელი, ქართული ებრაული ურთიერთობების ერთ-ერთი ლიდერი ზაირა დავარაშვილი.

— დღეს ჩვენ, ტრადიციულად, განსაკუთრებულ პატივს მივაცემთ და ვავასებთ იმ ადამიანთა პროფესიონალიზმს, ღვაწლსა და დამსახურებას, რომლებიც ძალ-ღონეს არ იშურებენ და ჩვენს დედაქალაქს, თბილისს, სრულიად საქართველოს ასახელებენ! — აღნიშნა დავით ნარმანიამ.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის კოლექტივის წევრები სულითა და გულით ვულოცავთ საპატრიო ნოდების მინიჭებას სახელოვან თანამოქალაქეებს, საგანგებოდ აღვნიშნავთ ჩვენი ძველი მეგობრებისა და კოლეგების დემიკო ლოლაძისა და თამაზ ტყემალაძის ღვაწლის დაფასებას.

წარმატებებს გისურვებთ, კოლეგებო!

ოთარ ტურაბაიძე, უკუჩქა ნაწარმიშვილის ფოტო.



სუდ ხელისუფლებას ქმნიან კარგი პლაშიანები, როგორც არ მიდიან არჩევნებზე

ამ წერილს ცნობილი ტელენამყვანის სალომე გოგიაშვილის ფეისბუქ-პოსტით დავიწყებ: „ცოტა მეტს დავწერ, ვიდრე ვწერ ხოლმე, მაგრამ ძალიან მაგარ ამბავს მოგიყვებით! აბრევიატურა OK-ის წარმოშობას 5 ვერსია ჰქონია, რომლებსაც არ დავწერ, თავს არ შეგანწყნო, თუმცა, ერთზე გაგამახვილებ ყურადღებას! ერთ-ერთი ვერსიით OK წარმოიშვა თანამედროვე ბერძნული „OLA-KALA“-სგან!!! ამ სიტყვას ბერძენი მეზღვაურები იყენებდნენ მაშინ, როდესაც ყველაფერი კარგად იყო. ეს ისტორია ჩემმა აჩი ფურცელაძემ იმ ადამიანებს გვიამბო, რომლებსაც მართლა ძალიან გვინდა, ყველაფერი კარგად იყოს... სიმბოლოურია, როცა კარგად ყოფნა და ეს სიტყვა ასოცირდება იმ ადამიანთან, ვისი იმედიც გაქვს, ვისაც გინდა ქალაქი ანდო. OLA-KALA – ყველაფერი კარგად იქნება სიცოცხლით სავსე ქალაქში ჩემი ხმა კახი კალაძეს „OLA-KALA!“

ძნელია, არ დაეთანხმო სალომეს. ძალიან ძნელია, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი გაზეთის ყველა მკითხველს ნამდვილად სურს, რომ არა მარტო თბილისში, ჩვენს ქვეყანაშიც ყველაფერი კარგად, ანუ OK იყოს.

* * *

ახლა კი გადავხედოთ ამ რამდენიმე დღის განმავლობაში განვითარებულ მოვლენებს, რომლებმაც კიდევ ერთხელ დაადასტურეს ის უტყუარი ჭეშმარიტება, რომ ნაცები (ორივე, „ევრონაცებიც“ და „ნამდვილი მიშმადიდებლებიც“), ქართული პოლიტიკური სივრციდან უნდა მოშორდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ნაცების ნამდვილი სახე უკვე დიდი ხანია, ყველამ კარგად იცის, მათ მაინც ჰყავთ თავიანთი ფანატიკურად ერთგული ამომრჩევლის გარკვეული რაოდენობა, რომელთა ხმების წაღება, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

ფაქტობრივად გარკვეულია, რომ საარჩევნო მართონში კახი კალაძე კანდიდატის მიმართ არსებული მოთხოვნების აბსოლუტურად ყველა კომპონენტში უპირობო ლიდერია და ვერანაირი „რეიტინგები“, ვერანაირი გამონკვევები ვერაფერს ვერ შეცვლის!

უპირობო ლიდერია როგორც იმ გამონკვევების გადალახვით, რაც მას განვლილი ცხოვრების მანძილზე შეხვდა, დამთავრებული მისი ვიზუალიზაცია, რაც საარჩევნო პიარტექნოლოგიების მიხედვით, „ქალი ამომრჩევლის“, ანუ ელექტორატის ყველაზე აქტიური ჯგუფის გადანაცვლებების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია.

დაბოლოს, ვიტყვი, რომ ელისაშვილის მიერ მისი დებატებში გამონკვევა გათვლილია არა იმისკენ, რომ ის კახის „მოუგებს“, არამედ იმისკენ, რომ მისი რეიტინგი სხვა კანდიდატებთან შედარებით უფრო ამაღლდეს.

ამ „გამონკვევას“ ჯერ კალაძემ უპასუხა: „ალეკო ელისაშვილი ნამდვილად არ არის ჩემი მთავარი კონკურენტი. ჩემი მთავარი კონკურენტი ის პრობლემებია, ის ტკივილი და წუხილი, რაც დღეს ქალაქს აწუხებს. მე მოვდივარ იმისთვის, რომ ვმართო ქალაქი და როგორც ნორმალურ, ცივილიზებულ ქვეყნებში ხდება, დებატები იქნება თუ სხვა მიმართულება, ჩვენ ყოველთვის მზად ვართ მივიღოთ მონაწილეობა“, – და შემდგომ მისი საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა არჩილ თალაკვაძემ როგორც ჟურნალისტებს, ასევე მერობის კანდიდატებს, საკმაოდ საინტერესო წინადადება შესთავაზა: „ყველა მედიასაშუალებას სურს, რომ კანდიდატები დებატებში მასთან მიწვიოს და კანდიდატებსაც სურთ, რომ მონაწილეობა ყველგან მიიღონ. ამიტომ ჩვენ მედიას შევთავაზებთ, რომ ერთიან ფორმატზე შეთანხმდნენ. რა თქმა უნდა, ეს მედიის გადასაწყვეტია. თუ შეთანხ-

...გავწმინდოთ ქვეყანა ნაცებისგან და სიცოცხლეს იქნება, სისუფთავეც და სიხარულიც. ეგაა და ეგ, და არ უნდა ამას ბევრი ფილოსოფია“...



მება მედიასაშუალებებს შორის ვერ მოხდება, ჩვენ დებატებში მონაწილეობას განვაგრძობთ ისე, როგორც ამას აქამდე ვაკეთებდით. სადაც მოსახლეობასთან შეხვედრების დრო და გრაფიკი საშუალებას მოგვცემს, დებატებში მონაწილეობას ყველგან მივიღებთ“.

კალაძის პასუხს ირმა ინაშვილი გამოეხმაურა: „კახი კალაძის პასუხი ჩემთვის გასაგებია და მისაღებია. მეც იგივე კითხვა მაქვს: რატომ უნდა მიიღოს კალაძემ დებატებში მხოლოდ ელისაშვილის გამონკვევა? რითაა ელისაშვილი აღმატებული სხვა კანდიდატებზე? ბურთს კარგად ვწვლავს? ეს რა კრიტერიუმია? ქვეყნის მასშტაბითაც გაცილებით მეტი ადამიანი გვიჭერს მხარს. ეს კი კრიტერიუმი ნამდვილიადა“.

თბილისის მერობის კანდიდატთა ნაწილი საკუთარ რეიტინგს სარეკლამო რგოლებზე „ფეისბუქში“ აღწეული „მონონებებით“ ითვისებს, რისი ყიდვაც მარტივად შეიძლება და რაც კონკრეტული კანდიდატის რეიტინგზე რეალურად სულაც არ მეტყველებს. ამ ხერხს ფსიქოლოგიური დატვირთვა აქვს, რომ სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიაში კომპეტენტურად ვერგარკვეულ „ფეისბუქელებს“ აფიქრებინოს, თითქოს № კანდიდატს თბილისის მოსახლეობის 80% უჭერს მხარს. სინამდვილეში უნიკალური მხარდამჭერის აღნიშვნის ყველაზე კომპეტენტური და რეალური გზა – ესაა: რამდენი მხარდამჭერი დაუდგება გვერდში კონკრეტულ კანდიდატს არა „ფეისბუქში“, არამედ გარე არენაზე, ანუ ქუჩაში ორგანიზებულ შეკრებაზე.

რატომ აქვს ამას მნიშვნელობა? პარტიაც, საზოგადოებაც ცხადად ხედავს, რამდენი ადამიანი არ ერიდება მხარდამჭერას ღიადა: ამას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს ოპოზიციური პარტიებისა და კანდიდატებისათვის, რომელთა ამომრჩევლებიც ხშირად ერიდებიან საჯარო მხარდამჭერის გამოხატვას. მით უმეტეს, აქციის, მანიფესტაციის ფორმატში.

ნაცებმაც „სცადეს“ ვითომდა მანიფესტაციის მოწყობა, მაგრამ მერიასთან უფრო მეტი ჟურნალისტი მივიდა, ვიდრე

„მანიფესტანტი“ და ამ „აქციაზე“ ვინმე საბეჭდო აფერისტობამ, ამომრჩევლებს კიდევ ერთხელ აჩვენა ამ ე.წ. პოლიტიკური ძალის ნამდვილი სახე.

ამ თემასთან დაკავშირებით სოციალურ ქსელ ფეისბუქში ერთ სტატუსს ნაწავწყვი:

„გაკვირდები საზოგადოების რეაქციას გუშინ განვითარებულ მოვლენებზე და რამდენიმე ყურადსაღები მომენტი დავინახე:

1. საზოგადოება ნაცების მამაძალღობაზე მეტად, ოცნების „რბილ“ რეაქციაზე უფრო გამოთქვამს პროტესტს.
 2. სამწუხაროდ, საზოგადოება მიეჩნია იმას, რომ ქვეყანაში არსებულ საინფორმაციო ველზე დომინირებს მხოლოდ ერთი „პარტია რუსთავი-2“ და ამის საზოგადოების ბოლომდე გაღიზიანება, ყურადღების სხვა არანორმალურ თემებზე გადატანა (როგორც იქვეყნიან ე.წ. რესპუბლიკელები), ოცნება ამ ბრძოლაში აბსოლუტურად მარტოა დარჩენილი.
 3. ფაქტობრივად არ არსებობს ინფორმაცია რეგიონების შესახებ და რჩება შთაბეჭდილება, რომ ისინი ინერციით მიდიან არჩევნებისკენ.
- მიუხედავად ამ ყველაფრისა, სამწუხაროდ, არის შანსი, რომ საკრებულოში ნაცების ორივე ფრთამ მოახერხოს საკმაო რაოდენობით ხალხის შეყვანა“.
- აქ კი ყველაზე დიდი როლი ამომრჩევლებს ეკუთვნის.
- პასიური ამომრჩეველი, რომელიც არ მიდის საარჩევნო ყუთთან, უშვებს ძალიან დიდ შეცდომას, რადგანაც ნაცების მომხრეთა სტაბილური რაოდენობა, ნვიმასი, ქარში, ცეცხლში თუ სეტყვაში, აუცილებლად მივა და ან მისას ტრეფიკინგის მსხვერპლ ზალიკოს და აფერისტ საბეჭდო მისცემს ხმას, ან მათ ფონზე „დაუთოებულ“ უგულავა-ბაქრაძეს.
- რეალურად კი ამ ბანდების ჩაჩოჩება და მათთვის ე.წ. „მეორე პოლიტიკური ძალის“ ჩამორთმევა ორ ოპოზიციურ ძალას შეეძლო. „საქართველოს პატრი-

ოტა ალიანსი“ და ბურჯანაძის „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიან საქართველოს“.

სამწუხაროდ, „დემოკრატიულმა მოძრაობამ“ ამ წლების განმავლობაში თავისი რეიტინგი საკმაოდ დაკარგა. ბუნებრივად გაჩნდა რელევანტური შეკითხვა, რომელიც ასევე ფეისბუქში გამოქვეყნდა:

„ჩემი ძალიან დიდი პატივისცემის მიუხედავად, ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს მინდა ვკითხო: – თავად რატომ არ მონაწილეობს არჩევნებში? “

თბილისის მერობა, საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ან თბილისის საკრებულოში, თუნდაც რიგით მებრძოლად ყოფნა, უხერხულია? იქნებ თქვენი კანდიდატობა და დიდი ალბათობით გარკვეული შედეგის მიღწევა დამყარებულ, ქართულ პოლიტიკურ პროცესს ოდნავ მაინც გააჯანსაღებდა?

მაპატიეთ, მაგრამ რატომღაც ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ არ გვკადრულობთ. არც პარტია აქტიურობს, მხოლოდ რიგითი განცხადებები და მართლაც დამაჯერებელი, მაგრამ უსაგნო დებატები თუნდაც კვსიტაძესთან.“

ამ ფონზე საინტერესოა რამდენად მოახერხებს ირმა ინაშვილი ჯერ საკუთარი და შემდეგ პასიური ამომრჩევლის მობილიზებას, რაც ძნელი სათქმელია. არადა, „პატრიოტთა ალიანსს“ ნამდვილად ხელენიშნება არსებულ პოლიტიკურ ველზე ნაცბანდის ჩაჩოჩება და შემდგომ საბოლოო გაგდება. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი, რომ საზოგადოების სოციალურად აქტიური ნაწილის, იმ ნაწილის, რომელსაც სურს ქართული პოლიტიკური ცხოვრების გაჯანსაღება, გააქტიურება. აქაც მაგალითისთვის ვიტყვი, რომ თავად ინაშვილი საკმაოდ რეალურად აფასებს სიტუაციას და მისი მოთხოვნები და წინადადებები არა თანამდებობის, არამედ ნაცების მიერ მოკლებული პოლიტიკური სივრცის გატოვებისკენ არის მიმართული.

უმარტივესი შედეგი, რაც ამ შემთხვევაში დადგება, იქნება ის, რომ პირველ რიგში ქართულ პოლიტიკას მოსცილდებიან ნაცების სატელიტი კაცნახევრიანი „პარტიები“, რომელთა უმთავრეს მიზანს არა ქართული პოლიტიკის შექმნა, არამედ ფულის შოვნაა.

წერილს კი ისევ ფეისბუქის ერთი სტატუსით დავამთავრებ:

„ეკოლოგიურად სუფთა ქალაქი, რომ გაიძახის ყველა, რა 2012 წლის 2 ოქტომბერს რომ მთელი ქვეყანა თავისუფლად სუნთქავდა, მთელი ქვეყანა რომ სიცოცხლით იყო სავსე, არ გახსოვთ?“

მერე დაბინძურეს ისევ ყველანაირი მავნე გამონაბოლქვებით და კი ვართ ისევ მკვდარი და დაბინძურებული კლიმატის პირობებში.

...გავწმინდოთ ქვეყანა ნაცებისგან და სიცოცხლეს იქნება, სისუფთავეც და სიხარულიც.

ეგაა და ეგ, და არ უნდა ამას ბევრი ფილოსოფია“.

ბევრი ფილოსოფია ნამდვილად არ არის საჭირო. საჭიროა მხოლოდ არჩევნებზე მისვლა და სწორი არჩევნის გაკეთება. არჩევნის, რომელიც ჩვენს ქალაქებს კარგ ხელმძღვანელებს გაუჩენს, ხოლო ქართულ პოლიტიკურ სივრცეს და მანიფესტაციის ბოლიტიკური პარტიებისგან განმეხდს.

თუ ჩემი არ გჯერათ, უინსტონ ჩერჩილს მაინც დაუჯერეთ, რომელმაც არჩევნების ზუსტი ფორმულა ჩამოაყალიბა: **ცუდ ხელისუფლებას ქმნიან კარგი ადამიანები, რომლებიც არ მიდიან არჩევნებზე და არჩებიან სახლში!**

ბიბა ბაბრიძეძე



ჩვენი მთავრობის მიმართ საზოგადოებას იმდენი კითხვა დაუტოვებდა, რომ ყველას, ცხადია, ვერ განვიხილავ. მხოლოდ რამდენიმე ძირითადს შევხებით, რომლებზედაც უკვე მრავალი წელია, პროსახელისუფლებო ექსპერტები, ე.წ. არასამთავრობოები და, პირველ რიგში – თავად ხელისუფლების წარმომადგენლები კონკრეტულ პასუხს არა და არ იძლევიან, ყველანი ზოგადი ფრაზებით იფარგლებიან. თუკი ადრე მათ პროპაგანდისტულ სიტყვებს რაღაც შედეგი მოჰქონდა მასების (ინტელიგენციის ჩათვლით) გაბითურების თვალსაზრისით, დღეს, ანუ „ქართულ ოცნებაზე“ ხელის ჩაქნევის შემდეგ, შეიძლება ითქვას, ქართველი ხალხი თითქმის(!) საბოლოოდ გამოფხიზლდა და გაერკვა, თუ ვინ ვინ არის – ვინ არის მისი ჭეშმარიტი მეგობარი და ვინ – მოჩვენებითი, ფაქტიურად კი – ჩვენი (და არამართო ჩვენი!) დამპყველარი. გამოფხიზლებულ ქართველთა კატეგორიაში ნაცების მხარდამჭერებს, ბუნებრივია, არ ვგულისხმობ. ბუნებრივია იმიტომ, რომ ამ ხალხს, ვინც საბაბაშვილის მიერ ჩადენილი (პირადად თუ მისი მითითებით) ნაირ-ნაირი(!) სისხლის სამართლის დანაშაულის გამოცხადების შემდეგაც ნაცების მართვლი დარჩა, ან ვეღარც მამაზაცხიარი აუხელს თვალებს!

ადგილობრივი მნიშვნელობის კითხვებით დაიწყებ:

1. რატომ არ ეწოდა თბილისის (თუნდაც, ქუთაისის) აეროპორტს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიას სახელი (როცა ამას თითქმის მთელი საქართველო მოითხოვდა) და რატომ ეწოდა მას შოთა რუსთაველის სახელი (ქუთაისისას კი – დავით აღმაშენებლის)?

აეროპორტისთვის ამერიკის მაკრიტიკებელი პრეზიდენტი გამსახურდიას სახელის მინიჭებას და „ძია სემის“ განაწილებას თბილისის საკრებულომ გასამხარავებელი (საკუთარი თავის და ყოველი ჩვენგანის!) გადაწყვეტილების მიღება ამჯობინა – 50 წევრიდან 30-მა პრემიერ-მინისტრ ლარიაშვილის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას დაუჭირა მხარი და აეროპორტს რუსთაველის სახელი მიანიჭა. ბარემ, აქვე იმასაც დავამატებ, რომ „ქართულ ოცნებას“ ორი მძიმე ტვირთი აწევს ცოცხად კისერზე: სამართლიანობის არადგენა (დამნაშავე ნაცრეფიშვილის არგასამართლებასთან ერთად აბსოლუტურად ყველგან: პროკურატურა-სასამართლოებში, ძალად სტრუქტურებში, ჯარში... ამ ნაცრეფიშვილის მიერ შერჩეული კადრების ხელახლებლად დატოვება) და სახელმწიფოს ისტორიული ღირებულებისთვის ფასდაუდებელი, მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლის – საყდრის ძალზე საეჭვოდ უსწრაფესად(!) და სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე(!) პირისაგან მინისა აღგვა აფეთქების გზით!

რატომ გასამხარავებელი?

იმიტომ, რომ უნივერსიტეტს, ინსტიტუტს, სკოლას, ბიბლიოთეკას, თეატრს, მოედანს, პროსპექტს, პრემიას, კულტურის ცენტრს... კი ბატონო, შეიძლება უწოდო ჩვენი საამაყო პოეტის და მოაზროვნის, გენეპეტ, დიდებული მეფის სახელი, მაგრამ – აეროპორტს?! სად რუსთაველი და სად აეროპორტი, სად აღმაშენებელი და სად აეროპორტი! სმენია ვინმეს სადმე მსგავსი სახელების შერჩევა აეროპორტებისთვის? ყველგან ხომ ადგილის ან პრეზიდენტის, ან აეროპორტთან რაღაცით დაკავშირებული ადამიანის სახელს ანიჭებენ. ასეა ამერიკაში, ევროპაში და რუსეთშიც – კენედის, დეგოლის, ალიევის (პრეზიდენტების), ლა გვარდიას (ნიუ-იორკის ამოჩენილი მერის), პიტროვის, შერეტიევის (პატარა სოფლების) სახელობისაა აეროპორტები (ჩვენთანაც ხომ დაარსების დღიდან კოპიტარის სახელი ეწოდებოდა ამჟამინდელ ქუთაისის აეროპორტს), და არა – შექსპირის, ტოლსტოის ან პუშკინის! ერთი სიტყვით, ვისაც შეხება არ ჰქონია აეროპორტთან, თვითმფრინავთან და, მით უფრო, არ უცხოვრია თვითმფრინავების ეპოქაში, არცერთი პიროვნების სახელი, თანაც 1000 წლის წინანდელი მოღვაწეების, აეროპორტებს მიკუთვნებული არა აქვს. ერთადერთი გამონაკლისი 500 წლის წინათ მოღვაწე გენოის ლეონარდო და ვინჩი, რომელმაც ბევრად გაუსწრო თავის ეპოქას და მხატვრულ შედეგებთან ერთად დაგვიტოვა არაჩვეულებრივი გამოგონებები (აეროპლანის, ვერტმფრენის, პარაშუტის, ველოსიპედის, ტანკის ნახაზები!) და რომლის ვეებერთელა ძეგლი ამიტომაც სახეებით დამსახურებულად და აბსოლუტური შესაბამისობით ამშვენებს რომის ფილმიჩინოს აეროპორტს. განა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ რუსთაველის ან აღმაშენებლის ძეგლი თბილისის ან ქუთაისის აეროპორტში? რას ვუპასუხებთ უცხოელებს ან ჩვენს შთამომავლობას, რატომ, რა ნიშნით დგას ეს ძეგლები აეროპორტში(!), სტუმრებს ეგებებიან-თქო?! ეს ფაქტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ჩვენს, უპირველესად, მთავრობა-ხელისუფლების უმნიშვნელობას!

სახელი და ობიექტი აუცილებლად რაღაც შინაარსობრივ კავშირში, შესაბამისობაში უნდა იყოს ერთმანეთთან, ეს ხომ ცხადზე უცხადესია! ამის საუკეთესო მაგალითია ბათუმის აეროპორტი, რომელიც მეოცე საუკუნის გამოჩენილი ქართველი ავიაკონსტრუქტორის ალექსანდრე ქართველის (ქართველიშვილის) სახელს ატარებს (აი, მისი ძეგლი ნამდვილად დაამშვენებდა ნებისმიერ, პირველ რიგში კი, ბათუმის აეროპორტს!). თუკი ბათუმის აეროპორტისთვის შესაფერი სახელი შეირჩა, თბილის-ქუთაისისთვის, ვითომ გაჭირდებოდა იგივე? რა თქმა უნდა, არა, და არც მთლად მიუხვედრელები არიან ისინი, ვინაც რუსთაველ-აღმაშენებლის სახელები შეარჩია, მაგრამ ამ არაადეკვატური (რბილად რომ შევაფასოთ) გადაწყვეტილებით მათ ორი კურდღლის დაჭრა მოახერხეს – „ძია სემის“ ნება-სურვილი შეასრულეს და ხალხის დაშოშმინებაც მოახერხეს – რუსთაველ-



და! განა ეს იყო ხალხის ნება და ეს უნდა ჩათვალოს რევერენდუზად?!

პასუხი შეკითხვაზე, თუ რატომ არ მიმართავს ჩვენი ხელისუფლება ხალხის გულისწადილის გასაგებად ამ მეთოდს, ძალიან ადვილი გასაცემია, თუმცა, ამას სხამალა ვერ იტყვიან თბილ საგარძლებს ჩაბლაუჭებული მინისტრები და ვერც – ქოც-ნაცების სიით გასული დემუტატები. საქმე იმაშია, რომ ხელისუფლებამ რევერენდუზით გამოხატული ხალხის პოზიცია არა მარტო ცნობად უნდა მიიღოს (როგორც პლენისციტის შემთხვევაში), არამედ ვალდებულია(!) ცხოვრებაში გაატაროს იგი, თანაც, უსიტყვოდ! უმრავლესობის დამოკიდებულება კი, თითქმის ყველა საკვანძო საკითხთან დაკავშირებით, ისედაც კარგადაა ცნობილი და იგი აბსოლუტურად სანინალმდეგოა „მამა-მარჩენალის“ ნებისა! სწორედ ესაა მიზეზი, რომ ერთ რევერენდუზსაც ვერ ვეღირსეთ 25 წლის მანძილზე, და ვერც მომავალში ვეღირსებით „ეროვნული პოლიტიკის“ გამტარებელი ხელისუფლების ხელში!

3. რატომ ვერ ამარცხებს ექვსი ათეული სახელმწიფოს განმდგარი კოალიცია ამერიკის მეთაურობით ტერორისტულ ორგანიზაციებს, კერძოდ კი ისლამურ სახელმწიფოს? განა ეს უცნაური არ არის და ახსნას, პასუხს არ საჭიროებს? როგორ დაამარცხებს ან ტერორისტებს რატომ ჩაიგდებს ცოცხლად ხელში (ფეხებში სროლის ნაცვლად ყველას ხომ 30-40 ტყვიას ახლიან, ციხეებში კი მხოლოდ ეჭვმიტანილები სხედან), როცა ამ ტერორისტულ ორგანიზაციებს თავად ქმნის, ფინანსებით, იარაღით და სამხედრო ინსტრუქტორებით ამარაგებს მათთან „მებრძოლი“ ამერიკა (ამის ყველაზე უტყუარი დამადასტურებელი ფაქტია „ალ ქაიდა“ და ბენ ლადენი) და ისრაელიც (ერთი თვის წინათ ლიბიაში დაიჭირეს „ისლამური სახელმწიფოს“ 200-კაციანი დაჯგუფების მეთაუ-

როსა სინაგოგაში... თვალს არ ვუსწორებთ..

კითხვები, რომლებზეც პასუხს არავინ იძლევა!

„ჩვენი მგერი ღმერთია. ღმერთის შეძლება სიბრძნის დასაწყისია“! ამ ლოზუნგის მიმღევრები, ზემოთ დასახელებული პარტიების ლიდერები (მარტო ქალბატონებს ჩამოთვლაც კი კმარა) – სამადაშვილები, ბოკუჩავები, სამნიძეები, კორძაიები, ხიდაშელები, ნადირაშვილები, ხოშტარიები, ჩერგოლეიშვილები წივილ-კივილიდან, დღეს თუ არა, ხვალ, აუცილებლად გადავლენ ეკლესიების ნგრევაზეც. ჰოდა, სანამ აქამდე არ მისულან, დროულად უნდა ამოვლოთ ლაგამი – პირველ რიგში, საჭიროა მართლმადიდებელი ეკლესიის დამცავი (ცილისწამებისგან, შეურაცხყოფისგან) შესაბამისი კანონის მიღება, და ვიდრე ასეთ კანონს არ მივაღებინებთ ხელისუფლებას, საქართველოს საქმე და ეკლესიისაც, კვლავაც ასოებშეცვლილი „დემოკრატიისკენ“ წავა!

აღმაშენებლის სახელების წინააღმდეგ წასვლა უხერხულად მოეჩვენა ბევრს. მაგრამ, სხვების თვალში დასაცინი რომ გავხდით და საღ აზროვნებასთანაც მწყრალად რომ გამოვჩნდით, ამგვარ უთავმოყვარეობას, სამწუხაროდ, კარგა ხანია, მიგვაჩვიეს ერთ დროს თავმოწონე ქართველები! ამის შემდეგ, ხვალ იზოდორ-სტადიონისთვისაც მეფე ერეკლეს ან გალაკტიონის სახელებს თუ შემოგვთავაზებენ, ადარ უნდა გაგვიკვირდეს, და ისიც ცხადია, რომ ამასაც აღვასრულებთ სხვებზე მიჩერებული ქართველები!

2. რატომ არ ტარდება რევერენდუზები, რატომ არ სურს ხელისუფლებას არცერთი საკითხის, რაც არ უნდა საჭირობოროტო იყოს ის, რევერენდუზზე გატანა (საგარეო კურსთან, სამხედრო თუ ეკონომიკურ კავშირებში შესვლა-არშესვლასთან, უცხოეთიდან დაფინანსებული ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობასთან, მიწების, სასმელი წყლის თუ წიაღისეულის გაყიდვასთან, მოქალაქეობის მინიჭება-ჩამორთმევასთან, გიგანტური ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებით... სია ძალიან დიდია)?

ფაქტია, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენასთან დაკავშირებით 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რევერენდუზის შემდეგ, შეიძლება ითქვას, რევერენდუზისთვის არცერთ ხელისუფლებას არ მიუმატავს. შეგარდნაძის მიერ მოფიქრებული 2003 წლის 2 ნოემბრის რევერენდუზი პარლამენტის წევრთა რაოდენობის შემცირების თაობაზე (235-დან 150-მდე) იმდენად არაარსებითი საკითხზე ჩატარდა, რომ იგი სათვალავში ჩასაგდება არ არის. რატომ? იმიტომ, რომ 2003 წლის რევერენდუზი ჩვენისთანა პატარა და გაჭირვებული ქვეყნისთვის მუქამაქამელების რაოდენობის, ანუ ხარჯების შემცირებას ისახავდა მიზნად, მივიღეთ კი შემდეგი: პარლამენტარების რიცხვი 36%-ით (85 დეპუტატით) შემცირდა, მათი შენახვის ხარჯები (ხელფასები, დანამატები, პრემიები, უცხოეთში სამოგზაურო, ბენზინის, ქუთაისში და-საქირავებელი ბინის და სხვა) კი ჯამში, ერთი ათად გაიზარ-

რი ბენჯამინ ეფრაიმი – ისრაელის დაზვერვის – „მოსადის“ კადრის ოფიცერი, რომელიც მკადაგებლად იყო შენიღბული მეჩეთში). ამ და კიდევ უამრავი მსგავსი ფაქტების არცოდნის გარეშეც არცერთი ჭკუათამყოფელი არ დაიჯერებს, რომ, თუნდაც, მხოლოდ ამერიკა-„ნატო“, რომელსაც ლამის მთელი მსოფლიოს დაპყრობა შეუძლია, მართლაც შეურიგებლად ებრძვის ტერორისტებს და მანაც ვერ ამარცხებს მათ. ამ სუსულების დაჯერება მხოლოდ ბრიყვებს და ხელისუფლებაში ამერიკის მითითებით გაქაჩულ ნაც-ქოცებს შეუძლიათ (მაგალითისთვის, პრემიერ ლარიაშვილის მიერ ნაგინები თინათინ ხიდაშელის თავდაცვის მინისტრად დანიშნვა კმარა!)

4. როგორ შევიდვართ „ნატოში“ და რას მოგვტანს ნატოს წევრობა?

დავუშვათ და, გვეღირსა ერთი რევერენდუზი და საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ მართლაც დაუჭირა „ნატოში“ შესვლას მხარი. მართალია, ასეთი რამ დაუჯერებელია, მაგრამ დაშვების მეთოდით ძალიან გვეხებება ნებისმიერი პრობლემის განხილვაში – მისი დადებითი თუ უარყოფითი მხარეების გამოვლენაში (ამ მეთოდით ზუსტ მეცნიერებებში ხომ თეორემები მტკიცდება!) და, როცა ეს მხარეები გვეცოდინება, უკვე აღარც სწორი გადაწყვეტილებების მიღება გავიჭირებთ. მაგრამ მხოლოდ მოსახლეობის სურვილი საკმარისი არ არის, „ნატოს“ წევრობისთვის – აუცილებელი პირობაა უკლებლივ ყველა 29 წევრი-სახელმწიფოს თანხმობა, თუმცა, არც ეს კმარა – აუცილებელი პირობაა ისიც, რომ „ნატოს“ წევრობის მსურველ სახელმწიფოს არ უნდა ჰქონდეს ტერიტორიული დაგა მეზობელთან. პირველი პირობის შესრულება არ არის ადვილი, მაგრამ სავსებით დასაშვებია, რომ ერთ მშვენიერ დღეს 29-ე სახელმწიფომ უგულვებლყოს რუსეთის ინტერესები და ერთ აზრზე შეთანხმდნენ. რჩება მეორე პირობა, რომელიც გაცილებით ძნელი გადასასწავლებელია – ან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა უნდა აღვადგინოთ და აღარ გვექონდეს

ეთნოკონფლიქტები, ანდა – სამუდამოდ დავივიწყოთ აფხაზეთი და სამაჩაბლო, ანუ ვალიაროთ მათი დამოუკიდებლობა. მაშინ, როცა რუსეთი დგას სეპარატისტების ზურგს უკან, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ძალის გამოყენებით, რა თქმა უნდა, გამორიცხებულია. გამორიცხებულია მშვიდობიანი გზაც, რადგანაც ორივე მხარე უნდა იყოს ამის მოსურნე (ოსებს და, განსაკუთრებით, აფხაზებს კი გაგონებაც არ სურთ საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნების თაობაზე, ორივენი რუსეთისკენ მიიღებენ). რჩება ერთადერთი „გამოსავალი“ – ხელის ჩაქნება აფხაზეთზე და სამაჩაბლოზეც. დარწმუნებული ვარ, ამაზე არასოდეს წავა ქართველი ხალხი, მაგრამ, ვიმეორებ, დავუშვათ და, ნებით, ძალით, მოტყუებით თუ რეფერენდუმის შედეგების გაყალბებით გვაიძულებს და უმეტესობამ „ნატოში“ შესვლას მივეციტ ხმა. შიი საოცრებაც, რუსეთმაც დაპირებული აგრესია აღარ განახორციელა და „გაიუბა მიუშვი ნებასა...“ პრინციპით, სულ დაგვანება თავი, საერთოდ განწყობა ყოველგვარი კავშირი ჩვენთან! და ჩვენც ჩვენი უჭკუო თავი ვიძულებთ ამოვყავით „ნატოში“.

და მერე რა გველის, რას მოგვითხრობს „ნატოს“ წევრობა, ამაზე დაფიქრებულან ჩვენი ინგლისურის ცოდნით თავმოქმედებული ნატო-მედიის წყალდალეულები, უფრო ზუსტად – წყალნაღებულები? განათლება – კულტურა – ეკონომიკის აღმავლობას? აღარ გაიქცევა ქართველი კაცი და ქალი საშუაარზე უცხოეთში? და, რაც ყველაზე მთავარია, ახლაც ისევე დავაღწევთ თავს დემოგრაფიულ საფრთხეს, როგორც ეს მოხდა 200 წლის წინათ რუსეთის იმპერიაში შესვლის შედეგად? გავმარავლებით და ქრისტიანობასაც შევიწინარებებთ „ნატოს“ ეგიდით შემოსული თურქეთის ხელში?! ისევე მამაცობით ვყვალავ, ვინც ასე ფიქრობს და, თუ მაინც ასე ფიქრობს, იქნებ გვითხრათ, როგორ მოხერხდება ეს – „ნატოში“ შესვლა და მერე ჩვენი, როგორც მართლმადიდებელი ქართველი ერის გადარჩენა. შემთხვევით, საუკუნეების წინათ გათურქებული საქართველოს ქართველების ბედს ხომ არ გავიზიარებთ ტაო-კლარჯეთის ქართველების ქართველებიც, ჰა? არა? არასწორად ვუყურებ მომავალს „ნატოს“ ქოლგის ქვეშ? მაშინ გვითხარით კონკრეტულად(!), თქვენ როგორ გეხატებათ მომავალი, ამოღებდით ერთხელ მაინც, მაღლობას გეტყვი! ოღონდ, მაგალითების მოყვანაც არ დაგავიწყდეთ უახლესი ისტორიიდან – თუ რა მოუტანა დემოკრატიის დამამყარებელმა ამერიკამ „ნატოში“ მსოფლიოს ხალხებს აზიაში, აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთში, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში და ცენტრალურ ევროპაში(!) – აყვავება თუ წგრევა, ერთიანობა თუ დაქუცმაცება, სიხარული თუ ცრემლი, გამრავლება თუ მილიონობით მსხვერპლი, დეკლარირებული დემოკრატია თუ ტერორისტული აქტები! ერთი მისაბამი სახელმწიფო მაინც დაგვისახლებთ წამლად! 15-წლიანი ომით, ლიდერების და მილიონობით ადამიანის დახოცვით ის დასავლური დემოკრატიაც კი ვერ დაამყარა, რომელსაც, ჩვენთან უკვე დამყარებულს(!), ქართველებმა ძალიან ადვილად მოუძებნეს შესატყვისი სახელი – „კ“ და „ტ“ ასოებისთვის ადგილების შეცვლით „დემოკრატიაში“. „დემოკრატია“ – ვითომდაც, „ხალხის ძალაუფლება“, სინამდვილეში კი ხალხის ილუზიებში სამყოფად, ხალხის გასაბრკილებლად მოფიქრებული უკვე ყელში ამოსული ეს ტერმინი, მისი ჭეშმარიტი არსი, ბევრნაირადაა განმარტებული მოაზროვნეების მიერ, მე კი ორი ცნობილი პიროვნების მოსაზრებით შემოვიფარგლები. ამერიკელი ლინკოლნი და ფილოსოფოსი, მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროფესორ-ემერიტუსი აბრამ ნოამ ჩომსკი: „საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება(!) თანამედროვე დასავლეთის დემოკრატიის განუყოფელი ნაწილია“. ერთობ საინტერესოა ებრაელთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტის (1979-2007 წლებში) დევიდ ბრონფმანის ხედვები: „მე არ ვიღებუი გამეორებით: დემოკრატიის არსი უმრავლესობის ძალაუფლება კი არ არის, არამედ – ებრაელების დაცვა უმრავლესობისგან“.

ამერიკამ წარმატებას მიაღწია რუსეთის წინააღმდეგ აღმოსავლეთ ევროპის, ძირითადად, პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების და მათთან ერთად, უკრაინა-საქართველოს ამხედრების თვალსაზრისით. სამწუხაროდ, ნაწილობრივ წარმატებას მიაღწია მან მართლმადიდებლობისთვის სახელის გატების კუთხითაც საქართველოში ე.წ. არასამთავრობოების და განსაკუთრებით „ნაცმოძრაობის“, „რესპუბლიკელების“ და „ევროპული საქართველოს“ „ქართველების“ აქტივობით, რომლებიც კომუნისტების ლანძღვა-გინებაში კი არიან, მაგრამ, იმავდროულად, კომუნისტების მთავარი იდეოლოგიის კარლ მარქსის ლოზუნგის გასაბრუნებლად გავუშვებთ, ტუჩებზე დორღმდომორეულები იბრძვიან. აი, ეს, მარქსის მიერ 1871 წელს პარიზის კომუნარებისთვის დაწერილი საბრძოლო ლოზუნგიც: „ჩვენი მტერი ღმერთია. ღმერთის შექმნა სიბრძნის დასაწყისია“!

ამ ლოზუნგის მიმდევრები, ზემოთ დასახელებული პარტიების ლიდერები (მარტო ქალბატონებს ჩამოთვალა კი კმარა) – სამადაშვილები, ბოკუჩავები, სამხიძეები, კორძაიები, ხიდაშელი, ნადირაშვილები, ხოშტარაიები, ჩერგოლიევილები ნიკილ-კვიციანი, დღეს თუ არა, ხვალ აუცილებლად გადავლენ ეკლესიების წგრევაზეც. ჰოდა, სანამ აქამდე არ მისულან, დროულად უნდა ამოვდით ლაგამი – პირველ რიგში, საქორა მართლმადიდებელი ეკლესიის დამცავი (ცილისწამებისგან, შუურაცხყოფისგან) შესაბამისი კანონის მიღება, და ვიდრე ასეთ კანონს არ მივაღებინებთ ხელისუფლებას, საქართველოს საქმე და ეკლესიისაც, კვლავაც ასოებშეცვლილი „დემოკრატიისკენ“ წავა!



იაკობ ლეჟავა, 2 ოქტომბერი, 2017

გამოიყენეთ პროფესიონალთა რჩევები!

ღია წერილი თბილისის მერობის კანდიდატს, ბაბონ კახა კალაქს

მეშვი არ მეპარება, რომ დედაქალაქის სალად მოაზროვნე საზოგადოება რამდენიმე დღეში ერთადერთ სწორ არჩევანს გააკეთებს და დაგაკისრებთ უდიდეს პასუხისმგებლობას, რასაც თბილისის მერობა ჰქვია. როგორც წლების განმავლობაში, თბილისის ერთ-ერთი მრავალათასიანი სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი, ვალდებულად ვთვლი თავს გაგაფრთხილოთ, რომ ამერიკიდან თქვენთვის დღე და ღამე გათანაბრებული იქნება და არაერთ ადამიანურ მოთხოვნაზე მოგინებთ უარის თქმა. აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც დედაქალაქის რიგითმა გულშემატკივარმა და საქართველოს მთავრობის ყოფილმა მთავარმა სახელმწიფო მრჩეველმა მინდა გირჩიოთ, რომ თქვენი ყურადღებისა და ძალისხმევის კონცენტრაცია მოახდინოთ რამდენიმე უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაწყვეტაზე შემდეგი მიმართულებებით.

1. დედაქალაქის მერობის თქვენი პერიოდში ისტორიული და დაუფიქრებელი იქნება თბილისის ყველა კეთილის მსურველისათვის, თუ თქვენ, ოპერატიულად შეიმუშავებთ წმინდა სამების საკათედრო ტაძრისა და ქვეყნის პრეზიდენტის რეზიდენციის მიმდებარე მთელი ტერიტორიის გენერალური რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის პროექტს იმ ვარაუდით, რომ უახლოეს პერიოდში, მთელი ეს სივრცე გახდება სრულიად საქართველოს საავტონომიო ბარათი და ქრისტიანთა სულიერების ცენტრი;
2. მივესალმები, რომ თქვენ სამოქმედო პროგრამაში სამართლიანადაა გამახვილებული ყურადღება ვაჭრობის, მომსახურებისა და სხვა ორგანიზაცია-დანესებულებების გარე რეკლამების სამარცხვინო და მოუთმენელ მდგომარეობაზე, რაც, არც მეტი, არც ნაკლები, ქართული ენისადმი მტრული დამოკიდებულებითაა განპირობებული;
3. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ დედაქალაქის მოქმედმა ხელისუფლებამ საკმაო მუშაობა გასწავა თბილისის კეთილმოწყობის მიმართულებით, მაგრამ ჯერჯერობით, სამწუხაროდ, ძალზე ხშირია შემთხვევა, როცა ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილი ქუჩის ნაწილები (ტროტუარები), გაზონები, სკვერები, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებები და კანონით აკრძალული სხვა ტერიტორიები გადაქცეულია ავტომანქანების პარკირების ადგილებად, რაც სერიოზულ პრობლემებს უქმნის დედაქალაქის მოსახლეობას და განსაკუთრებით უცხოელ ვიზიტორებს;

ქის მოსახლეობას და განსაკუთრებით უცხოელ ვიზიტორებს;

4. დროთა განმავლობაში, რაც ბუნებრივია, თანდათან მწვავედება ყველა დიდი ქალაქისათვის აქტიურობის ქუსლად ქცეული სატრანსპორტო საცობების თემა. პრობლემა იმდენად რთული და მრავლისმომცველია, რომ ამ პატარა წერილში, მასზე პროფესიული მსჯელობა შეუძლებელია. მოგახსენებთ მხოლოდ ერთს. თუ გვინდა ამ მიმართებით ქალაქმა ოდნავ მაინც ამოისუნთქოს, ეგრეთწოდებული პერსონალური და სადისტრიბუციო ავტომანქანების ექსპლუატაციისას ვინ ხელმძღვანელოთ ცივილური ქვეყნების გამოცდილებით. ამ მიმართებით სასურველია აგრეთვე განიხილოთ ჩვენი ხედვები და წინადადებები, რომლებიც დეტალურად გვაქვს ჩამოყალიბებული გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „საცობების დაშლაში ყველამ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს“ (2015 წ. 24 იანვარი);

5. თუ გვინდა ევროპული ქალაქების ცხოვრების წესებთან მიახლოება, სასწრაფოდ უნდა გატარდეს აპრობირებული და დეკანონებული ღონისძიებები თაბაკის რეალიზაციისა და მოხმარების წესებთან მიმართებაში. ამასთან, კატეგორიულად უნდა აიკრძალოს მისი ყველანაირი რეკლამირება და მოხმარება სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების დროს;

6. თქვენი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, აუცილებელია დედაქალაქის მერიაში და მის ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფში ალადაგონით მოქალაქეთა მიღებისა და წინადადებების განხილვის სისტემა.

ბატონო კახა, თქვენი მხარდაჭერისა და თანადგომის მიზნით, მზად ვახლავართ, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, ანუ საზოგადოებრივ საწყისებზე, ვითანამშრომლო იმ ჯგუფებთან, რომლებსაც დაევალება თუ შეეძლება საერთაშორისო უნივერსიტეტებში სათანადო გადამწვებების მომზადება.

უღრმესი პატივისცემით
ანზორ ბაბუნაძე,
საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი,
გამეთ „თანადგომის“
რედაქტორ-გამომცემელი.



60-ლარიანი ტექნოპალიერება მანქანების უმეტესობისთვის ყოველწლიური იქნება

მანქანების ტექნოპალიერების საფასური 60 ლარს არ გადააჭარბებს და მძღოლებს არ გაუჭირდებათ მისი გადახდა, თუმცა ჩამოთვლილი კრიტერიუმების დაკმაყოფილებას ბევრი ვერ შეძლებს. აქვე გასათვლიანია ინტერესი ისიც, რომ მზარდი მოთხოვნის პირობებში გაძვირდება სათანადოგონაწილები და საბურავები, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა.

ავტომობილების ტექნოპალიერების დროს 7 ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმში იმოქმედებს, რომელიც ყველას მოეთხოვება: ეს არის – მუხრუჭები, საჭის მექანიზმი, სავალი ნაწილი, ხილვადობა, მაშუქები, ანუ ფარები, გამონაბოლქვი და საბურავები. როგორც ეკონომიკის სამინისტროს სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს“ დირექტორი მიხეილ ხმალაძე აცხადებს, ეს ჩამონათვალი ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმებია, რაც ყველას მოეთხოვება, აქ არანაირი შეღავათი არ იმოქმედებს.

2018 წლის პირველი იანვრიდან მოყოლებული 2 წლის განმავლობაში საქართველოში არსებული მთელი ავტოპარკის შემომწევა მოხდება.

„პირველ ეტაპზე არის ორწლიანი ციკლი, რათა მთლიანად მთელი ავტოპარკი მოვიწიოთ. შესაბამისად, როდესაც ჩვენ დავიწყებთ პირველ ტესტირებას 2018 წლიდან, ეს იქნება ორწლიანი, მაგრამ შემდეგ უკვე გადავიდებით ევროპულ სტანდარტზე, რაც არის 4+2+1. ეს იმას ნიშნავს, რომ ახალი მანქანა 4 წლამდე არ გადასვალდება უფრო ტესტირებას, შემდეგ 4-დან 6 წლამდე მანქანა 2 წელიწადში ერთხელ გადასვალდება, ხოლო 6 წლის შემდეგ აბსოლუტურად ყველა ავტომობილი სავალდებულო ტესტირებას წელიწადში ერთხელ გაივლის“, – განაცხადა ხმალაძემ.

ტექნოპალიერება დაახლოებით, 60 ლარის ფარგლებში ელირება. როგორც მიხეილ ხმალაძემ აღნიშნა, ყველა ვარიანტში მთავრობა ზედა ზღვარს დაანესებს,

ანუ ფასი იქნება რეგულირებადი, რათა შემდეგ ბაზარზე ხელგაწევა არ მოხდეს ფასის გაზრდა და მოსახლეობას ტვირთად არ დაანესებს.

გარდა ამისა, „ინტერპრენსიუსის“ ინფორმაციით, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიერ ტექნოპალიერების არგავლის შემთხვევაში, ჯარიმის ოდენობა მნიშვნელოვნად გაიზრდება, თუმცა კონკრეტული ციფრი ამ ეტაპზე არ სახელდება, რადგან შესაბამისი ცვლილება პარლამენტმა უნდა განახორციელოს.

იმ შემთხვევაში კი, თუ ავტომობილი ვერ გაივლის სავალდებულო ტექნიკურ ინსპექტირებას, მძღოლს ხარვეზების აღმოსაფხვრელად დაახლოებით, ერთი თვე მიეცემა, თუმცა ხმალაძის ინფორმაციით, კონკრეტული გრაფიკი ოქტომბრის ბოლოს გამოქვეყნდება.

ტექნოპალიერების მიმართ მკაცრი მიდგომა სათანადოგონაწილებისა და საბურავების გაძვირებას გამოიწვევს. პარალელურად მოიმატებს ავტოსხელოსნების მომსახურების საფასურიც. იმპორტიორები და მოვაჭრეები ვარაუდობენ, რომ მანქანის მონაცემების რამდენიმე დეტალის ფასი ნამდვილად აიწევს. მაგალითად, უამრავი მანქანა დადის ამჟამად კატალიზატორის გარეშე. ამ დეტალზე აშკარად გაჩნდება მოთხოვნა და შეიძლება, დეფიციტიც შეიქმნას. ასეთ შემთხვევაში ფასიც მოიმატებს. 100%-ით შეიძლება ითქვას, რომ კატალიზატორები ნამდვილად გაძვირდება.

რაც შეეხება პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრებს, მიხეილ ხმალაძის განცხადებით, ამ ეტაპზე საქართველოს მასშტაბით მოქმედებს 26 ტესტირების ცენტრი, რომელთაც აქვთ 35 ტესტირების ხაზი, რაც იმას ნიშნავს, რომ შეიძლება იყოს ერთი ტესტირების ცენტრი, მაგრამ ჰქონდეს რამდენიმე ხაზი. ერთ ხაზზე კი ერთი მანქანა იტესტება.

ბაბა დანელია



პეტრე I

ისპაჰანში შედგა ერეკლე I-ის იქ ეპიზოდური ჩასვლისას, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში არ აისახა. თბილისზე გავლა ბრენერს ორჯერ მოუხდა (მეორეჯერ სპარსეთის ელჩობასთან ერთად, რომელიც შვედეთში რუსეთზე გავლით გაემართა). ამაზე ნათლად მეტყველებს პ. ბრენერის ნაშრომში ერიკ ბენცელიუსისადმი მიმართვის ტექსტში დამოწმებული ისპაჰანიდან მოსკოვში მოგზაურობის მარშრუტი, რომელიც საქართველოზე, აზერბაიჯანსა და დაღესტანზე გადიოდა. რაც შეეხება „ერიკლერ-მირზასთან“ ანუ ერეკლე I-თან მის შესხვედრებასა და საუბრებს, რომლებიც მის სამოგზაურო უბის წიგნაკებში იყო წარმოდგენილი და „ოდიოზური“ შინაარსის გამო სეკვესტრირებულ იქნენ, ისინი ავტორის ხა-

მის შესახებ, რომ მოსკოვში მას უფროსი ვაჟიშვილი დარჩა ერეკლე დავითის ძემ მეოთხედი საუკუნის შემდეგ ჰენრიკ ბრენერს გაანდო (ამ შემთხვევაში ყოველგვარი დაფარული მიზნის გარეშე), თუმცა ამ უკანასკნელს ქართლის მეფის ეს გულწრფელი აღიარება მრავალი უსიამოვნებითა და უბედურებით შემოუბრუნდა რუსეთის ციხეში 20-წლიანი პატიმრობის ჩათვლით. ბუნებრივი კითხვა იბადება: სად შეეძლოთ ერთმანეთს შესხვედროდნენ ჰენრიკ ბრენერი და ერეკლე I ნაზარალიხანი? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა გავიხსენოთ მოვლენები, რომლებიც სპარსეთის დედაქალაქში ახალგაზრდა შვედი დიპლომატის ჩასვლის წინ ხდებოდა და ამის შემდეგ ცოტა მოგვიანებითაც. შაჰი სულეიმანი, რომელმაც ერთმანეთს დაუპირისპირა ერეკლე I და გიორგი XI, 1692წ. გარდაიცვალა და თავის მემკვიდრედ, ფაქტობრივად, სეფიანთა უკანასკნელი წარმომადგენელი სულთან ჰუსეინი დატოვა. გიორგი XI-ის ახლო ნათესავეები სპარსეთში მძევლად იმყოფებოდნენ, რის გამო მან ახალ შაჰთან შერიგება ამჯობინა, ხოლო უკანასკნელმა, ითვალისწინებდა რა გადაყენებული ქართლის მეფის განსაკუთრებულ მხედართმთავრულ ნიჭს, იგი ავღანეთში წარგზავნილი სპარსული ჯარის მთავარსარდლად დანიშნა. მისმა პირველივე წარმატებებმა ავღანეთში ხელი შეუწვევს ქართლის მეფედ მის აღდგენას და ერეკლე I-ის თბილისიდან ისპაჰანში განწევას, რომელსაც ქართლში 15-წლიანი მეფობის შემდეგ მემკვიდრეობით მფლობელობაში გადაეცა კახეთის კუთვნილი სამეფო ტახტი, თუმცა სპარსეთის დედაქალაქში მისი დატოვებით. ეს ცნობილი მოვლენები XVII-XVIII სს. შესაყარზე განვითარდნენ, მაგრამ ისინი, ისევე როგორც შესაბამისი ადგილები პ. ბრენერის მოგონებებიდან „ერიკლერ-მირზასთან“ კონტაქტების შესახებ, სამწუხაროდ, ხელს არ უწყობენ იმის გარკვევას, თუ სად შეხვდა იგი თავის კეთილმსურველ ქართლის მეფე ერეკლე I-ს. მათი შესხვედრა, შესაძლოა, ისპაჰანში მოხდა, მაგრამ უფრო დასაშვებია, რომ ისინი თბილისში შესხვედნენ ერთმანეთს და აი რატომ. ვახუშტის მონაცემების თანახმად, ერეკლე ქართლის მეფის რანგში თბილისში 1688 წ. ჩამოვიდა მეუღლე ანას გარეშე, რომელზეც ისპაჰანში იქორწინა და იქვე დატოვა იგი თავის ვაჟიშვილთან და ქალიშვილთან ერთად. ამის გამო მას ხარკებთან უხდებოდა ურთიერთობა, რაც ქართველთა უკმაყოფილებას იწვევდა, რომელთა ზემოქმედებითა და მოთხოვნით მან მოგვიანებით ცოლი და ქალიშვილი ელენე თან ჩამოიყვანა, ხოლო შვილი დავითი იქვე (ისპაჰანში) დარჩა. უფრო მოგვიანებით მან ნაგებში სასახლე აიშენა, სადაც ზამთარშიც მუდმივ იმყოფებოდა, ერთობოდა რა ნადირობითა და დროსტარებით პოეტებით გარემოცული. ამავე წყაროს თანახმად, ერეკლე საქართველოდან ისპაჰანში დაბრუნდა არაუადრეს 1703წ. მაისისა, როდესაც პ. ბრენერი უკვე დიდი ხნის წინათ არა სპარსეთის დედაქალაქში, არამედ რუსეთის ციხეში იმყოფებოდა. ამდენად, თუ ზემოთ მითითებული ერეკლე I-ის საქართველოდან ისპაჰანში ერთადერთი ჩასვლის თარიღი (1703 წ. მაისი) სინამდვილეს წარმოადგენს, მაშინ მათი შესხვედრა მხოლოდ თბილისში უნდა შემდგარიყო (თუმცა, ვერც იმას გამოვირიცხავთ, რომ მათი ნაცნობობა ჯერ

ნგრძლივი პატიმრობის მიზეზიც გახდნენ. პ. ბრენერმა შეგნებულად შეიკავა თავი მათი შინაარსის სრული აღდგენისაგან თავისი წიგნის 1723 წ. გამოცემისას, ანუ პეტრე I-ის გარდაცვალებამდე წლინახევრით ადრე, რადგან რუსი მეფის მიმართ სიძულვილის გარდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მას შიშის გრძობა ჰქონდა პეტრეს მოქმედებათა იმპულსურობისა და წინასწარგაუთვლელი გამო. მიუხედავად ამისა, პ. ბრენერი შემოქმედებითად ოპტიმისტურად იყო განწყობილი, თუმცა დიდად განიცდიდა თავისი უბის წიგნაკების გაუჩინარებას, სადაც საფუძვლიანად და გულწრფელად ჰქონდა გადმოცემული სპარსეთსა და კავკასიის ქვეყნებში მოგზაურობისას უშუალოდ აღქმული შთაბეჭდილებები, მათ შორის იდუმალი ხასიათისა. ქართველ მეფეთა გენეალოგიისათვის თანდართული მისი კომენტარის ბოლოს, მიმართავდა რა „კეთილგანწყობილ მკითხველს“, პ. ბრენერი აღნიშნავდა: „მე გადავწყვიტე, თუ ღმერთი და ბედისწერა ამის შესაძლებლობას მომანიჭებენ, ახალი ნაშრომი დავწერო, რომელიც ამის დამატება იქნება, მას შემდეგ როცა აღვადგენ ჩანაწერებს (ხაზგასმარჩენისა - ჯ.ვ.) იმ საქმეთა შესახებ, რომლებიც აქ გამოტოვებული არიან“. პ. ბრენერმა ეს ჩანაწერი, რამდენადაც ჩვენ ვიცით, სამწუხაროდ, ვერ განახორციელა. უნდა აღინიშნოს, რომ პ. ბრენერის სიძულვილი პეტრე I-სადმი იმდენადვე ძლიერი იყო, რამდენადაც ამ უკანასკნელისა მის მიმართ: პეტრემ შეიძულა და მკაცრად დასაჯა ახალგაზრდა შვედი სწავლული იმის გამო, რომ იგი ნებსით თუ უნებლიეთ გაერკვია მისი ქვეშევრდნი წარმომავლობის საიდუმლოში, რის შესახებ მან პ. ბრენერის ჩანაწერებიდან შეიტყო, რომლებიც დაპატიმრებისას ჩამოართვეს. ამიტომ პეტრე I არც თუ უსაფუძვლოდ განიხილავდა პ. ბრენერს როგორც პიროვნებას, რომელსაც შეეძლო მნიშვნელოვანი ზიანი მიეყენებინა მისი საერთაშორისო რეპუტაციისათვის. მაგრამ მეფემ მის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორებისაგან თავი შეიკავა, როგორც ჩანს, არა მხოლოდ იმიტომ, რომ პ. ბრენერის დაპატიმრებასა და მისთვის უმკაცრესი რეჟიმის შეფარდებას დიდი რეზონანსი ჰქონდა, არამედ მის დამცველთა და მეფის წინაშე შეწყალების შესახებ შუამავალთა როლიმ შვედეთის ტყვეობაში მყოფი რუს მალაჩი-


ნოსანთა ნაწილი გამოვიდა, მათ შორის ალექსანდრე ბაგრატიონი, რომელიც პირველყოფისა, შეეცადა შვედი მეგობრისათვის დახმარება თავისი მამის არჩილ მეფის მეშვეობით აღმოეჩინა, მაგრამ მალე შეიტყო, რომ მამამისს არ ძალუძდა შვედი სწავლულის ბედზე დადებითი ზემოქმედება მოეხდინა, რადგან, როგორც გაირკვა, იგი უშუალოდ რუსი მეფის გადაწყვეტილებაზე იყო დამოკიდებული. პ. ბრენერსა და ალექსანდრე ბაგრატიონს შორის არსებულმა მეგობრულმა ურთიერთობამ ეს უკანასკნელი აიძულა პეტრე I-სათვის ორჯერ წერილით მიემართა ამ საკითხთან დაკავშირებით მას შემდეგ, რაც ტყვეობაში მყოფმა რუსმა ელჩმა ა. ხილკოვმა მეფეს თხოვნა გაუზღვანა პ. ბრენერისათვის პატიმრობის რეჟიმის შემსუბუქების თაობაზე, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, შვედეთის მთავრობა პირადად მას, როგორც რუსეთის მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენელს, მკაცრი რეპრესიული ზომების მიღებით დაემუქრა, რასაც იგი, ფაქტობრივად, ვერ გადაურჩა (გარკვეული დროით ა. ხილ-

ით, ანუ „Post Scriptum“-ზე მინიშნებით, რაც ერთობ უჩვეულო იყო იმდროინდელი არა მხოლოდ ქართველისათვის, არამედ ევროპასთან შედარებით უფრო ახლოს განლაგებული რუსეთის განათლებულ მკვიდრთათვისაც. მაგრამ ყველაზე მძაფრ ინტერესს იწვევს შინაარსი წერილისა, რომელიც რელიგიურ სენტენციებთან ერთად მამხილებელ ელემენტებსაც შეიცავს. წერილი ბიბლიაზე მითითებით იწყება: „თურქული დიპლემტით ხატიშარიფი რუსულად საღმრთო წერილს ნიშნავს“-ო. ამის შემდეგ ალექსანდრე პეტრეს ატყობინებდა იმის შესახებ, თუ რა უზომოდ სიამოვნება მიანიჭა მას ამასწინადელმა მისდამი გამოგზავნილმა მეფის წერილმა, იმდენად დიდი, რომ ცალკეულ ასოებსაც კი ამ წერილისა კოცნით ალვიკვამლიო. როგორც წერილიდან ირკვევა, ალექსანდრე ნაწილობრივ ინფორმირებული იყო იმ ზომების შესახებ, რომლებსაც რუსეთის მეფე და მისი გარემოცვა ქართველი ბატონიშვილის ტყვეობიდან გასათავისუფლებლად გეგმავდა, რის გამოც ეს უკანასკნელი პეტრეს ატყობინებ-

ჯუანხერ კათაქე პეტრე დიდი - ბაბრატონთა უთაყოფაჲალი? ვინ იყვნენ პირველი ქართველი დასავლეთეურობელები?

კოვი სტოკჰოლმიდან პროვინციაში გადასახლეს და გამკაცრებული რეჟიმი დაუნიშნეს). პეტრე I-ის სიძულვილი პ. ბრენერისადმი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მასთან მეტად დაახლოებული ორი პიროვნების თხოვნა მის შესახებ უგულვებელყო და უპასუხოდა დატოვა, რაც, კერძოდ, ალექსანდრე ბატონიშვილმა ზედმინევიტი მტკივნეულად აღიქვა. ამის შესახებ ვგებულობთ პეტრე I-სადმი ალექსანდრეს 1710წ. 6 სექტემბრით დათარიღებული წერილიდან (ანუ ხუთი თვით ადრე ბატონიშვილის გარდაცვალებამდე), რომელშიც პ. ბრენერი მოხსენიებული არ არის, მაგრამ მისი სახელი ორი სიტყვით „ვინმე პერსონა“-თია დაშიფრული. წერილის კონტექსტიდან ირკვევა, რომ ალექსანდრეს თხოვნით ბრენერის შესახებ მეფისათვის ადრე ორჯერ მიუმართავს, მაგრამ პასუხი არ მიუღია. საფუძვლებელია, რომ ქართველმა ბატონიშვილმა არ იცოდა შვედი დიპლომატის მიმართ რუსი მეფის სიძულვილი და მოსკოვში მისდამი ასეთი მკაცრი მოპყრობის ნამდვილი მიზეზი, რის გამო ალექსანდრე თავის წყენასა და გვირგვინოსანი მეგობრისაგან იმედის გაცრუებას არ მალავდა. ეს პირველი შემთხვევა იყო მეგობრების ურთიერთობაში გაჩენილი ბზარისა, რადგან ირი სიყალბის მსგავსი გამოვლინებისა, რაც თითქმის არავლურფელობის ტოლფასი იყო. ამიტომ ალექსანდრე ბატონიშვილი პეტრე I-სადმი თავის წერილში ცდილობდა, რამდენადაც შესაძლებელი იყო გულლიად ეთქვა ყველაფერი იმის შესახებ, რაც მისი უკმაყოფილების გამომწვევი იყო, ამდენად, ეს წერილი, ჩვენი აზრით, ერთგვარი ნიმუში იყო მეგობრებს შორის აღმოცენებული უმძრახობისა და ნახევრად ნათქვამის თავშეკავებული გამოვლინებისა, როდესაც ასაკითა და „რანგით“ უმცროსი ჯიქურ უტყვის უფროსს, თუმცა ცალმხრივი პაექრობის „აგრესიულობა“ მას აიძულებს, უფროსს „წალწინის“ გამო ბოდიში მოუხადოს. ვიდრე ამ წერილის შინაარსს მოკლედ გადმოვცემდეთ, გვსურს მისი ავტორისათვის, როგორც დასავლეთ ევროპაში განსწავლული ადამიანისათვის დაბახისათებელი ზოგიერთი ნიშან-თვისება აღვნიშნოთ: „Sire“- ანუ მიმართავს ალექსანდრე ბატონიშვილი პეტრე I წერილის დასაწყისში, ხოლო ამთავრებს მას „P.S.“-

და, რომ არაფერზე ისეთზე არ დათანხმდებოდა, რაც ომის ვითარებაში მყოფ რუსეთის სახელმწიფოს „დეტრიმენტს“ (ანუ ზარალს) მიიყენებდა. რუსეთის მიმართ თავისი პატრიოტული სულისკვეთების ხაზგასმით დადასტურების შემდეგ ალექსანდრე გულლიად საყვედურობდა პეტრეს ამ უკანასკნელის მიერ მისი თხოვნის შეუსრულებლობის გამო, იმ თხოვნისა, რომელიც, ჩვენი ღრმა რწმენით, მის შვედ მეგობარს ჰენრიკ ბრენერს ეხებოდა, თუმცა მისი სახელი წერილში, როგორც აღვნიშნეთ, არ იყო მითითებული: „მე მხოლოდ ვინმე პერსონისადმი მოწყალებას გთხოვდით, მაგრამ, რადგან ამაზე მონარქის კეთილგანწყობას ვერ მივაღწიე რომელიც ჩემი ნაკლისა, ან უღირსობის გამო, აღარასდროს გავკადნიერდები (ჩემი), პირლიობით მთქნარება რომ არ მოგგვაროთ და ამიერიდან პირბაგესაც კი შევიკრავ. ასეთად დავრჩები, როგორც ვარ და კუბოს ფიცრამდე ვიქნები თქვენი ყოვლად მონა-მორჩილი ალექსანდრე გრუზინევი“. საყვედურით აღსავსე ასეთი ტირადით მიმართა ალექსანდრე ბაგრატიონმა თავისი სიყრმის მეგობარ რუსეთის გვირგვინოსანს, რომელმაც, ალბათ, მართლაც პირველად გაუტრუა იმედი. გამოთქმული საყვედურის დასამძიმებლად იყო, ჩვენი აზრით, გაანგარიშებული წერილის ხელმოწერა ზედსახელით („ალექსანდრე გრუზინევი“), რომელიც ავტორს პეტრე I-ის ბავშვობისდროინდელი შესაქცევარი სამხედრო თამაშების დროიდან ჰქონდა შერქმეული თანატოლი რუსი ყმაწვილებისაგან. განსახილველი წერილის იმ ნაწილთან დაკავშირებით, რომელიც ალექსანდრეს პეტრეს მიმართ საყვედურს შეეხება, ვფიქრობთ, აუცილებლად გასათვალისწინებელია ზემოთ აღნიშნული მოსაზრება, რომ ქართველმა ბატონიშვილმა, როგორც ჩანს, არ იცოდა ნამდვილი მიზეზი რუსეთის მეფის ჰენრიკ ბრენერისადმი გამჟღავნებული განსაკუთრებული სიძულვილისა და ამ უკანასკნელის შესახებ პეტრეს მხრივ მისი თხოვნის იგნორირებისა. მაგრამ, დამოუკიდებლად ამისგან, ალექსანდრე ვერ მალავდა თავის უკმაყოფილებას იმის გამო, რომ გვირგვინოსანმა მეგობარმა თხოვნა არ შეუსრულა, რისთვისაც მას, ფაქტობრივად, კიცხავდა და საკმაოდ მკაცრადაც. (ბაბრატონთა მემკვიდრეობა)



გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დაცვის, ნორმატივების, გამოყენების, რეაბილიტაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიის

2016 წლის 18 ივლისს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის სამართლებრივი ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ნიკოლოზ როსტომიშვილის ხელმოწერით (წერილი №25545) გამოგეგზავნათ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში 2016 წლის 12 ივლისს საქართველოს პრემიერ-მინისტრის სახელზე შემოსული ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი სათათბიროს წერილი, რომელიც შეეხებოდა მოსაზრებას ფოთისათვის მისი ისტორიული სახელის – ფაზისის სახელდების შესახებ.

ამავე საკითხთან დაკავშირებით, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (28 აპრილი, 2017 წელი), გამოქვეყნდა საქართველოს ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტის, ეკონომიკის დოქტორის ნუგზარ ნადარაიას, ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი სათათბიროს თავმჯდომარის, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის გერონტი კუხალაიშვილის, აკადემიის სწავლული მდივნის, პროფესორ ლიანა წურწუმიას ღია წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვიციანიშვილისა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გიორგი კვეციანიძის სახელზე.

იმის გათვალისწინებით, რომ საკითხისადმი, საზოგადოებრივი ინტერესი დიდია, გთხოვთ, მოგვანოლოთ ინფორმაცია ამ საკითხის განხილვის მიმდინარეობის თაობაზე. დამატებით გაცნობებთ, რომ ფოთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი სათათბიროს ინიციატივით 2017 წლის ივნისში ჩატარდა მოსახლეობის სოციოლოგიური კვლევა. სოციოლოგიური კვლევის შედეგები ასეთია:

სულ გამოიკითხა 1736 რესპონდენტი; თანახმაა – 1285;

თავი შეიკავა – 451-მა.

საქართველოს ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემია, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი სათათბირო მზადყოფნას გამოთქვამენ საქმიანობის შემთხვევაში ითანამშრომლონ კომისიასთან, ამ საკითხზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

პატივისცემით,

ნუგზარ ნადარაია,
საქართველოს ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი, ეკონომიკის დოქტორი;

გერონტი კუხალაიშვილი,
ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი სათათბიროს თავმჯდომარე, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი;

ლიანა წურწუმი,
ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის სწავლული მდივანი, ვიცე-პრეზიდენტი.

* * *
საქართველოს ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი, ეკონომიკის დოქტორი ნუგზარ ნადარაია

ბატონო ნუგზარ, პასუხად თქვენი წერილისა (№1/1-12; 27.07.17) ფოთისთვის მისი ისტორიული სახელის – ფაზისის სახელდების შესახებ, გაახლებთ ისტორიული გეოგრაფიის სპეციალისტის, აკადემიკოს დავით მუსხელიშვილის დასკვნას საკითხთან დაკავშირებით.

დიდი პატივისცემით, რწმე მებრძოლი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი.

თული ეთნოსიდან მეგრულ-ჭანურის გამოყოფის შემდეგ, ანუ ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში უკვე უნდა არსებებოდა დღევანდელი ფორმით „ფოთი“. რაც შეეხება ბერძნულ „ფასის“ ფაზისის იგი გაცილებით უფრო ახალია: ძვ.წ. VII-VI საუკუნეებში მოსულ ბერძენ კოლონისტებს ეს ტერმინი, როგორც ფიქრობენ, უნდა მიეღოთ „ფოთის“ აღმნიშვნელი სავარაუდო ძველი სვანური სახელწოდებისაგან.

ასეა თუ ისე, ერთი რამ სრულიად ცხადია: „ფოთი“ ადგილობრივი ძველ-ისტორიული ტოპონიმი, ხოლო „ფასის“ – უცხო, ბერძნული. სწორედ ამიტომაც, ბერძნული „ფასისი“


ხელიშვილს ჩვენ მიერ დასმული ამოცანის არგუმენტირებულად წარმატებული რეალიზების საქმეში აღმოჩენილი ყურადღებისა და შეტანილი ფასდაუდებელი წვლილისთვის. მართლაც დროა, დამსახურებული პატივი მივავით ძველკოლხურ, ე.ი. ქართულ და ძველბერძნულ ცივილიზაციათა ისტორიული ურთიერთობების საგნობრივ შესწავლას, სამეცნიერო პროპაგანდას და მსოფლიოში მიღებული ტოპონიმების ანალოგიურად („მინის ფრანკფურტი“, „დონის როსტოვი“ და ა.შ.) ქალაქ ფოთის ისტორიული სრულყოფილებისათვის ამიერიდან ეწოდოს – ქალაქი „ფოთი-ფაზისი“.

ვექირობთ, ამით მნიშვნელოვნად გაიზარდება ქალაქისა და მხარის ტურისტული პოტენციალიც, შედეგად ასევე გაიზარდება საბიუჯეტო შემოსავლები.

გულითად მადლობასთან ერთად, გამოვთქვამთ სრულ მზადყოფნას ურთიერთ სამეცნიერო თანამშრომლობისათვის, „რათა გაიხაროს ყოველმა ქართველმა“. ამინ!

ურბესი პატივისცემით,
ნუგზარ ნადარაია,
საქართველოს ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი, ეკონომიკის დოქტორი;

ერს თაჰისი ისტორია ისაჰს!



„ფასისა - ფოთსა იყუს“

ძალაძე ფოთი ჩვენი ქვეყნის ფრიად მნიშვნელოვანი კულტურული და ეკონომიკური ცენტრია. ცნობილია, რომ იგი ამავე დროს ერთ-ერთი უძველესი ნავსადგურია შავ ზღვაზე, სადაც ძველმა ბერძენმა კოლონისტებმა ძვ.წ. VIII-VI საუკუნეებში ემპორიონი, ანუ სავაჭრო ფაქტორია დააარსეს, რომელსაც ფასისი-ფაზისი ეწოდებოდა. ეს უკანასკნელი, ზოგიერთი ანტიკური წყაროს მიხედვით, ძველი კოლხეთის სამეფოს დედაქალაქად ითვლებოდა, სადაც ძველბერძნული თქმულების მიხედვით, არგონავტებმა ილაშქრეს ოქროს საწმისის მოსაპოვებლად.

როგორც ჩანს, „ფაზისი“ ასეთმა პოპულარობამ განაპირობა ჩვენი საზოგადოების გარკვეული ნაწილის სურვილი, რომ ფოთს გადაერქვას სახელი და ამიერიდან ეწოდოს ფაზისი.

ამ თავისთავად კეთილშობილურ განზრახვასთან დაკავშირებით უნდა ითქვას შემდეგი: ფოთი არ არის ახალი სახელწოდება. ძველქართულ წყაროში იგი უკვე XI საუკუნეში იხსენიება, ხოლო ძველკოლხურში, მსგავსი ფორმით „ფოთი“ – VIII ს-ის დასაწყისისთვისაა დამოწმებული, რაც გულისხმობს, რომ ეს ქართული ტოპონიმი გაცილებით უფრო ძველია. მართლაც, მეცნიერები – ლინგვისტები, ისტორიკოსები – მათ შორის უცხოელებიც, საბუთიერად ფიქრობენ, რომ „ფოთი“ უცილობლად ადგილობრივი სახელწოდებაა, რომლის პროტოტიპი უკვე არსებობდა ქართულ-ზანური (მეგრულ-ჭანური) ენობრივი ერთობის დროს, ანუ რამდენიმე ათასწლეულის წინათ, ხოლო საერთო ქარ-

რედ ამიტომაც, რომ კონსტანტინოპოლის 553 წლის V მსოფლიო საეკლესიო კრების მონაწილე ეპისკოპოსთა სიის ქართულ თარგმანში მოხსენიებული ფაზისის მღვდელმთავრის წოდებულება – „ეპისკოპოსი ფასისისა სოფელსა შინა მეგრელთასა“ – შუა საუკუნეების სქოლიასტის მიერ იქვეა განმარტებული: „ფოთსა იტყუს“, ანუ ფაზისი („ფასი“), იგივე ფოთიაო.

ქალაქ ფოთის სახელწოდების ფაზისად შეცვლის მოსურნენი (ცხადია, თავისდა უნებურად, ძველი ქართული კვანის ნაშლას და უცხოურის დამკვიდრებას ცდილობენ. დავარქვათ მას ციხისძირს პეტრონი, ცხუმს (სოხუმს) – სევასტოპოლისი და ა.შ.?!
ღირს კი ამის კეთება?

დავით მუსხელიშვილი,
აკადემიკოსი

ვენოლოთ ქალაქს „ფოთი-ფაზისი“

პატივი მივავით ძველ კოლხურ, ე.ი. ქართულ და ძველბერძნულ ცივილიზაციათა ურთიერთობის ისტორიას და ქალაქ ფოთს ვუნოდოთ სრულქმნილი ისტორიული სახელი: ფოთი-ფაზისი...

ისტორიული ფაზისის რიტორიკული სკოლის (ცენტრის) მეშვეობით საქართველოს ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის მრავალათასიან წევრთა სახელით პატივი მაქვს, გულწრფელი მადლობა გადავუხადო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ხელმძღვანელობას, მის პრეზიდენტს, პირადად ღვანლმოსილ მეცნიერს, ისტორიული გეოგრაფიის თვალსაჩინო სპეციალისტს, აკადემიკოს დავით მუს-

„მშობლიური მინის მტკაველის კი არაა დასათმობი!“

ცნობილი მამულიშვილის, ბატონ ნუგზარ ნადარაიას სურვილითა და თხოვნით ვბეჭდავ ნაწყვეტს ფაზისის აკადემიის პოეტ-აკადემიკოსის **სარგო ბარამიძის** წიგნიდან „ჩემი თბილისი და საქართველო“.

...ბასული საუკუნის 90-იან წლებში ვრედაქტორობდი გაზეთ „ფაზისს“, გაცივანი აფხაზეთიდან ლტოლვილი მრავალი პატრიოტი ქართველი, რომელთაგან გამოკვეთილად კეთილშობილურ წარმოდგენას მიქმნიდა სერგი საჯაია, იგი სოხუმიდან იყო და დედა იქაური ბერძენი ჰყავდა. დედამ შვილს ბერძნული ენა შეასწავლა. ვისხენებ მის იუმორისტულ ფერებში ნაამბობს:

70-იანი წლების მინურული იყო. მოსკოვში ვსტუმრობდი ჩემს ბერძენ ნათესავებს. ნამოსვლისას მგზავრობა მომინია რეისზე „მოსკოვი-ურეჯანი“. ნათესავებმა მიმაცილეს ვაგზალზე და ბერძნულად ვსაუბრობდით. ბილეთი ბოვად გილიან კუპეში მქონდა, სადაც დაგვხვდა ნაცნობი გარეგნობის სპორტულ პიჟამოში ჩატყული ჭარმაგი კაცი. ნათესავები დამემშვიდობდნენ და მატარებელიც დაიძრა.

ცოტა ხნის შემდეგ საუბარს შევეყვით. იმ კაცმა მკითხა, მგონი, ბერძნულად საუბრობდით, ალბათ, საქართველოში მცხოვრები ბერძენი ხართო. რევერანსების გარეშე დავუთხარე:

შემდეგ ის კაცი წარმომიდგა – მე გახლავართ საბჭოთა კავშირის მარშალი ივან ხრისტაფოროვიჩ ბაგრატიანი და მშობლიურ სომხეთში მივდივარო. საუბრისას ასეთი რამ მითხრა: ჩვენ კარგა ხნის წინათ შევექმნიდით დიდ სომხეთს სსრკ-ს ტერიტორიაზე, რომ არა... აბა გავხედოთ სომხების განსახლებას სომხეთის რესპუბლიკიდან ჩრდილოეთისკენ – საქართველოში: ჯავახეთში, მესხეთში, აჭარაში, გურიაში... აფხაზეთში, რუსეთში: კრასნოდარის, სტავროპოლის მხარეებში უამრავი სომეხი ცხოვრობს. ამ ტერიტორიების გაერთიანებით მივიღებდით დიდ სომხეთს, მაგრამ ერთი დასახლება გვიშლის ხელს, სადაც ფეხი ვერ მოვიკიდებთ, ეს... მეგრელები არიან. ისინი არ გვიშვებენ და მთელ ამ დასახლებულ ტერიტორიებზე ვაკუუმს გვიქმნიანო.

მართლაც აფერუმ, ძმებო მეგრელებო, ასე სათუთად რომ უფრთხილდებით მშობლიურ ქართულ მიწას. თქვენებრი წინდახედულება სხვებსაც რომ ჰქონდეთ, ამ განზრახვას ხომ ვერ ჩაიდებდნენ გულში ჩვენი მეზობელი ჰაოსის შვილები?

მშობლიური მინის მტკაველიც კი არაა დასათმობი!

სარგო ბარამიძე

გამოთხოვა აკადემიკოს ფრიდონ თოდუასთან

სასიქადულო მესნიერი და დიდი პიროვნება



საქართველოს სამედიცინო საზოგადოებაში დიდი დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, სააკადემიო კლინიკური მედიცინის სამედიცინო-კვლევითი ინსტიტუტის დამაარსებელი და მისი ხელმძღვანელი, აკადემიკოსი **ფრიდონ თოდუა**.

ფრიდონ თოდუა დაიბადა 1944 წლის 9 იანვარს ქალაქ ზუგდიდში. 1968 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი და ამავე წელს მუშაობა დაიწყო ქ. ზუგდიდის პოლიკლინიკაში ქირურგის თანამდებობაზე.

1969 წლიდან 1991 წლამდე ფრიდონ თოდუა მუშაობდა აგრძელებს ქალაქ მისკოვის ა.ვ. ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტში ჯერ მეცნიერ-თანამშრომლის, შემდეგ კი კომპიუტერული ტომოგრაფიისა და ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობებზე.

1991 წელს, საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, მან დააარსა კლინიკური მედიცინის სამედიცინო-კვლევითი ინსტიტუტი და გარდაცვალებამდე იყო მისი დირექტორი და სამედიცინო ხელმძღვანელი. აღნიშნული ინსტიტუტი აღიარებულია ქვეყნის სამედიცინო ცენტრთა შორის უპირობო ლიდერად. კლინიკა უპრეცედენტო თავისი მატე-

რიალურ-ტექნიკური ბაზით და მუდმივად განახლებადი უახლესი სამედიცინო აპარატურით, რისი ნათელი მაგალითიცაა თანამედროვე ონკოლოგიაში სხივური თერაპიისთვის განკუთვნილი ბოლო თაობის – მაღალი ენერჯის სხივური ამპლქარების დანადგარის ეფექტური გამოყენება, რომელიც ფრიდონ თოდუას პირადი ინიციატივით ხორციელდებოდა.

ფრიდონ თოდუამ 1973 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1983 წელს სადოქტორო დისერტაცია, 1987 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

მას უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის სამედიცინო დახმარების სრულყოფაში, მან პირველმა შეიმუშავა „უსისნლო“ თერაპიული მანიპულაციები სხვადასხვა დაავადებების მკურნალობისათვის და დანერგა ორგანოშემანარჩუნებელი ოპერაციები კომპიუტერული ტომოგრაფიისა და ულტრაბგერითი სკანირების კონტროლით, მათ შორის, ლვიძლის აბსცესის, კისტებისა და პანკრეასის ფსევდოკისტების გარეგანი დრენირების მეთოდი, შემდგომ მათში მასკლეროზილებული ნივთიერებების შეყვანით. მან ერთ-ერთმა პირველმა მსოფლიოში გამოიყენა კომპიუტერული ტომოგრაფიული არტერიოგრაფია ლვიძლის მეტასტაზურ დაზიანებათა ადრეული გამოვლენისათვის.

ფრიდონ თოდუას სამედიცინო-პრაქტიკული მოღვაწეობის ნამდვილი აღიარებაა 1997 წელს მისი არჩევა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 2001 წელს – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრად.

2004-2013 წლებში იგი არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პირველ ვიცე-პრეზიდენტად, 2009 წლიდან – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მედიცინის განყოფილების, ხოლო 2013 წლიდან – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილების აკადემიკოს-მდივანად.

ნის განყოფილების აკადემიკოს-მდივანად.

აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა არჩეული იყო ავსტრიის ქ. გრაცის სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად, რუსეთის სამედიცინო ტექნიკური მეცნიერების აკადემიის ნამდვილ წევრად, აზერბაიჯანის ქ. ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად, მრავალი ასოციაციის, საზოგადოების, ფედერაციისა და სხვადასხვა საბჭოს წევრად, მათ შორის, საქართველოს რადიოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტად და ევროპის რადიოლოგთა ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრად, მინიჭებული აქვს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორის წოდება.

იგი იყო ჟურნალ „რენდგენოლოგია“ და რადიოლოგიის მაცნეს“ მთავარი რედაქტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მოამბის“ და „საქართველოს სამედიცინო მოამბის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამედიცინო საბჭოს წევრი.

მის მიერ შესრულებულია 600-ზე მეტი სამედიცინო ნაშრომი და გამოცემულია 10 მონოგრაფია. მიღებული აქვს 5 საავტორო და 15 საპატენტო მოწმობა გამოგონებებზე.

საზოგადოების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა სამედიცინო და სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას. იგი იყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რევიდენტურის სასწავლო პროგრამის დირექტორი სპეციალობაში „სამედიცინო რადიოლოგია და რენდგენოლოგია“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სამედიცინო რადიოლოგიისა და ენდოსკოპიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

ფასდაუდებელია ფრიდონ თოდუას

თავდადებული მოღვაწეობა ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდის საქმეში. მისი მოწაფეები, წარმატებული სპეციალისტები და მეცნიერები დღეს სათავეში უდგანან კვლევით დაწესებულებებს, კლინიკებსა და საუნივერსიტეტო კათედრებს. მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა არის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ვახტანგ გორგასლის, ბრწყინვალეების, საქართველოს ღირსების ორდენებისა და მრავალი საერთაშორისო მედლების კავალერი. 2014 წელს გადაეცა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდო – „წმინდა გიორგის ოქროს მედალი“, დაჯილდოებული იქნა ივანე ჯავახიშვილის მედლით, მინიჭებული აქვს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის და გრიგოლ მუხაძის სახელობითი პრემიები.

1998 წელს ფრიდონ თოდუა აირჩიეს ქ. თბილისის, ხოლო 2016 წელს ქ. ზუგდიდის საპატიო მოქალაქედ.

2008-2012 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, მისი თაოსნობით მრავალი პრობლემა იქნა გადაჭრილი ქვეყნის განათლებისა და მეცნიერების სფეროში.

მეცნიერებათა აკადემია, ქართველი მეცნიერები, მთელ ქართველ საზოგადოებასთან ერთად, მძაფრად, გულისტივილით განიცდიან ქვეყანასა და ადამიანებზე, გამოჩენილი კოლეგებზე, მოამაგე პიროვნების მოულოდნელ გარდაცვალებას.

სასიქადულო მეცნიერისა და დიდი პიროვნების, აკადემიკოს ფრიდონ თოდუას გარდაცვალება უაღრესად დიდი დანაკლისია სრულიად საქართველოსა და საერთაშორისო სამედიცინო საზოგადოებისათვის.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

საქართველოს დიდი მკურნალი მოუკვდა...

საქართველოს სამედიცინო საზოგადოებამ დიდი და აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა – გარდაიცვალა აკადემიკოსი **ფრიდონ თოდუა** – საერთაშორისო აღიარების მქონე ქართველი ექიმი, მეცნიერი, მასწავლებელი და საზოგადო მოღვაწე. ის წლების განმავლობაში იყო საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი. ამასთან, სიცოცხლის ბოლო დღემდე მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად, აგრეთვე ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილების აკადემიკოს-მდივანად. ის იყო საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და დიდი წვლილი შეიტანა აკადემიის საერთაშორისო აღიარების საქმეში. ფრიდონ თოდუას უდიდესი წვლილი მიუძღვის საქართველოში რადიოლოგიის, თანამედროვე მედიცინის ყველაზე რთული და ძვირადღირებული სამედიცინო სამსახურის, მოდერნიზაციისა და განვითარების საქმეში. მან შექმნა და გარდაცვალების დღემდე ხელმძღვანელობდა კლინიკური მედიცინის სამედიცინო-კვლევით ინსტიტუტს – ფრიდონ თოდუას სამედიცინო ცენტრს, რომლის ინტელექტუალური დონე და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ყოველთვის აკმაყოფილებდა თვით ყველაზე მკაცრ საერთაშორისო მოთხოვნებსაც კი. ფრიდონ თოდუა ასევე სიცოცხლის ბოლო დღემდე მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტში მის მიერვე დაფუძნებულ რადიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელად. ის ასევე იყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საბჭოს უცვლელი წევრი, ამავე სა-

მინისტროს მთავარი სპეციალისტი და ექსპერტი. ის ასევე იყო მისივე ინიციატივით დაფუძნებული საქართველოს რადიოლოგთა ასოციაციის უცვლელი პრეზიდენტი, ფრიდონ თოდუა დასაბამიდან ხელმძღვანელობდა ამავე სპეციალობის ექიმთა რეზიდენტურის პროგრამას და აღზარდა დღეს საქართველოში მომუშავე ექიმ რადიოლოგთა უმრავლესობა. ასევე მისი აღზრდილები წარმატებით მუშაობენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების წამყვან კლინიკებში. ფრიდონ თოდუა ავტორია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნებული ექვსასამდე სამედიცინო ნაშრომის, მათ შორის მ მონოგრაფიის, ის ასევე იყო რამდენიმე სახელმძღვანელო, გამოგონებისა და პატენტის ავტორი. ფრიდონ თოდუა მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა სამედიცინო ხარისხების მიმნიჭებელ სამედიცინო საბჭოებს და მისი უშუალო ხელმძღვანელობით მომზადებულია ასამდე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი და ფილოსოფიის აკადემიური დოქტორი მედიცინაში. ფრიდონ თოდუა სხვადასხვა დროს არჩეული იყო საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების უნივერსიტეტებისა და ინსტიტუტების საპატიო დოქტორად და პროფესორად, აგრეთვე სამედიცინო საზოგადოებებისა და ასოციაციების საპატიო წევრად. ის იყო სამედიცინო პროფილის მქონე მრავალი სამედიცინო-პრაქტიკული ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი და სიცოცხლის ბოლომდე რედაქტორობდა თავად მის მიერვე დაფუძნებულ „რენდგენოლოგიისა და რადიოლოგიის მაცნეს“ სახელწოდების მქონე ჟურნალს. ფრიდონ თოდუა სხვადასხვა დროს იყო მრავალი ეროვ-



ნული და საერთაშორისო სამედიცინო კონგრესების, ყრილობების, კონფერენციებისა და სიმპოზიუმების თავმჯდომარე და მონაწილე. მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყნების უმაღლესი კატეგორიის სახელმწიფო და საერთაშორისო პრემიები. ის ასევე დაჯილდოებული იყო საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყნების უმაღლესი რანგის ორდენებითა და მედლებით. ის წლების განმავლობაში ეწეოდა მრავალფეროვან საზოგადოებრივ მოღვაწეობას და ბევრი სასიკეთო საქმე აქვს გაკეთებული ქვეყნის საკეთილდღეოდ, აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სახელი მის მიერ აღსრულებული საქმეების სახით სამუდამოდ დარჩება საქართველოს მედიცინის ისტორიის ნათელ ფურცლად.

საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემია.

გამოთხოვნი აკადემიკოს ფრიდონ თოდუასთან

თითოეულმა ჩვენგანმა დაჰკარგა ოჯახის წევრი, მეგობარი, მასწავლებელი

გარდაიცვალა ადამიანი, რომელიც, ალბათ, იმ იშვიათ რჩეულთა კატეგორიას მიეკუთვნება, ვისაც სიცოცხლეშივე ერგო წილად ღირსეული დაფასება, საყოველთაო პატივისცემა და სახელი – შესანიშნავი ექიმის, ნოვატორის, უბადლო ორგანიზატორის, ქველმოქმედის, საზოგადო მოღვაწის...

მისი მრავალრიცხოვანი ეროვნული თუ საერთაშორისო ჯილდოების შესახებ არაერთხელ თქმულა და დანერგა, მაგრამ თავად მხოლოდ ერთ წოდებას – თბილისის საპატრიო მოქალაქის ტიტულს – მიიჩნევდა მართლაც საამაყოდ.

სხვა უმთავრესი ჯილდო მისთვის, როგორც ყველა ჭეშმარიტი ექიმისთვის, თავისი მონაფეხების, კოლეგებისა და მთლიანად ინსტიტუტის წარმატება იყო. ეამაყებოდა თითოეული ჩვენგანის აღიარება საერთაშორისო ფორუმებზე, თითოეული ჩვენგანის გამარჯვება საკუთარი გამარჯვებასავით უხაროდა!

აი, ამ განწყობითა და შემართებით დაიწყო არსებობა ოცდაექვსი წლის წინათ კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა, რომელიც სწორედ თავისი დამაარსებლისა და მთავარი მამოძრავებელი ძალის წყალობით – ქართულ სინამდვილეში სტაბილური განვითარების, წინსვლის, პერმანენტული სიახლეებისა და ინოვაციების სიმბოლოდ იქცა.

ოცდაექვსი წელია, მოვდივართ ფრიდონ თოდუას უშრეტო ენერჯით დამუხტულელები. მოვდივართ მიზანმიმართული ნაბიჯებით; მისეული მუდმივი შენების სურვილით; მისი დაუღალავი, გაუჩერებელი საქმიანობის ჟინით... სხვანაირად მის გვერდით ვერ იქნებოდით!

მეოთხედი საუკუნეა, არ არსებობდა დასვენება და თავისუფალი დრო მისთვის – თავისთავად არ არსებობს ჩვენთვისაც! თავად იყო უპირველესი მაგალითი ინსტიტუტის ნებისმიერი თანამშრომლისთვის – მუდმივად მონუსხილი, მუდმივად მოზილიზებული, თავდაჯერებული... მიაჩნდა, რომ ექიმი თავდაპირველად გარეგნულად უნდა ამართლებდეს საკუთარ სტატუსს და ერთი შეხედვით იმსახურებდეს პაციენტის ნდობას. თავად იყო ლეგიონერი და გულითადი დამოკიდებულების მაგალითი უბრალო ადამიანების მიმართ. თავად იყო მუდმივი ძიებით დამაშვრალი და იმავს ითხოვდა, უპირობოდ მოითხოვდა ჩვენგან და...

ამ დროს თითოეული ჩვენგანის პირად პრობლემას თავისად იღებდა. საუკეთესო მრჩეველი, მეგობარი და თანამდგომი... საქმეში უმცარესი და პირად ცხოვრებაში უღალატო – განურჩევლად სტატუსისა და დამსახურებისა, ყველას მიმართ. შეუმცდარი პედაგოგიური აღზრდა სტუდენტებთან – ნიჭიერსა და პერსპექტიულს ხელს არ გაუშვებდა... ან ბოლომდე მიჰყვებოდა, ბოლომდე უპატირობდა!

მასთან ურთიერთობამ, მეტ-ნაკლებად, ბევრი ჩვენგანის ცხოვრება შეცვალა, ერთ სტაბილურ დინებაში მოაქცია. ბევრი გამოვიარეთ ერთად ამ ხნის მანძილზე! – 90-იანების სუსხიანი ზამთრები, უშუქობა, გაჭირვება... შემდგომი სოციალური თუ პოლიტიკური კრიზისები, კიდევ აქეთ – დაბობნა თუ თითქოს დაღაბება... გავიზარდეთ, გაფართოვდით და დღეს ბევრად მეტნი ვართ...

ფრიდონ თოდუას ექიმის ხასიათის, ალღოსა და იდეალური ორგანიზატორის ნიჭის წყალობით ინსტიტუტმა არამარტო რეალურად ააღორძინა რადიოლოგიის დარგი, არამედ სრულიად ახალ სიმაღლეზე აიყვანა მედიცინა ჩვენს ქვეყანაში. მან მიზანმიმართულად ჩადო დიდადი ინტელექტუალური და მატერიალური ინვესტიცია ონკოლოგიის განვითარებაში – თანამედროვეობის ამ ყველაზე სასტიკი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში... და, რა ბედის ირონიაა?! – სწორედ ამ ბრძოლაში დაეცა!

ვიდრე ფეხზე დგომა შეეძლო, ჩვეულებრივ დადიოდა სამსახურში... თითქმის ბოლომდე... არ უნდოდა (არც დაუშვებდა!) ვინმეს უძღური და დასუსტებული ენახა. უწინდებურად ხუმრობდა, გვეფერებოდა... და ჩვენც, თითქოს ექიმები არ ვიყავით და არ ვიცოდით, რასთან გვექონდა საქმე, ისე ჯიუტად არ ვიჯერებდით, რომ დასასრული დაიწყო. თუმცა, ესეც თავად დაგვაჯერა, რომ არასოდეს არაფერი წააქცევდა! იქნებ... იქნებ, კიდევ ცოტა ხანი... იქნებ...

ვიცოდით, როგორ არ ვიცოდით?! – მაგრამ მაინც თავზარდამცემი აღმოჩნდა ფაქტი.

საქართველომ დაკარგა უბადლო ექიმი, აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა! ჩვენ... თითოეულმა ჩვენგანმა დაგვარგეთ ოჯახის წევრი, მეგობარი, მასწავლებელი...

მსუბუქი იყოს მისთვის ასე საყვარელი თბილისის მიწა... მშვიდობით, ბატონო ფრიდონ!

კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის – აკადემიკოს ფრიდონ თოდუას კლინიკის თანამშრომლები.

მეუღლე თინათინ შენგელაია, შვილი ნინო, შვილიშვილები გიორგი, ნიკოლოზი, ძმა ავთანდილი, დისშვილები სოფიკო, ირაკლი კახაძეები, სიძეები ჯემალ კახაძე, მერაბ დვალის, ცოლისძეები ასმათი, მანანა შენგელაიები, ქეთევან როგავა, უხსლოვანი ნათესავები და მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ფრიდონ თოდუა

პანაშვიდი 10, 11 X, 16 სთ-დან, მისამართი ქ. თბილისი, დილომი, გოდერძი ჩოხელის III შესახვევი №4
გამოსვენება წმინდა სამების ტაძრიდან 12 X, 15 სთ. დაკრძალვა საბურთალოს სასაფლაოზე, ამაღლების სახელობის ეკლესიის ეზოში.

აფხაზეთის მთავრობა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ თბილისის კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, აკადემიკოსის, ევროპის, ამერიკისა და რიგ სავაჭრო ორგანიზაციების რადიოლოგიური და ქირურგიული ასოციაციების წევრის

ფრიდონ თოდუას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პარლამენტართა პალატა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს 2008-2012 წ.წ. მოწვევის პარლამენტის წევრი

ფრიდონ თოდუა

და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

პალატის სახელით
კობა ამირხანაშვილი

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „მამულიშვილთა გახსენება“ და მისი პრეზიდენტი ბონდო კობაძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს სახელოვანი მამულიშვილის, თავისი ერისა და სამშობლოს გულანთებული პატრიოტის, მსოფლიოში სახელგანთქმული მედიკოს-მეცნიერის, გულისხმიერი მკურნალის, კლინიკისტი, ფონდის მიერ განხორციელებული ეროვნული პროექტების თანამდგომის, მხარდამჭერისა და მისი ბრწყინვალე შემფასებლის, სიკეთითა და კეთილშობილებით მოსილი, თავისი ბუნებრივი სილამაზით გამორჩეული ქართველი ვაჟკაცის, თბილისის საპატრიო მოქალაქის, აკადემიკოს

ფრიდონ თოდუას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, ნათესავებს, კოლეგებს, მეგობრებსა და სრულიად საქართველოს.

დალი ბერულავა, გიორგი ჩიქავა ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, მრავალი ადამიანის სიცოცხლის გადამრჩენი და უანგაროდ დამხმარე, პროფესორი

ფრიდონ თოდუა

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახსა და ახლობლებს.

გია, ლამარა, შოთა, თეონა სვანიძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის, მეცნიერის, პედაგოგის, აკადემიკოს

ფრიდონ თოდუას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს

ლიკა, აკაკი ნადარეიშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაცვალა უახლოესი მეგობარი

ფრიდონ თოდუა

და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს.

ოთარ ფაცაცია, ბონდო ჯიქია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ მეგობრის, საქვეყნოდ ცნობილი პიროვნების

ფრიდონ ივოლიტას ქა თოდუას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ მეუღლეს, ქალბატონ თათული შენგელაიას, მის ოჯახს და ახლობლებს.

გივი ჯაფარიძე, მამუკა ადამია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

ფრიდონ თოდუას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ ოჯახს და ახლობლებს.

ს.ს. ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა, საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, თსსუ-ს მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საერთაშორისო აღიარების გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოში ინტერვენციული მედიცინის ფუძემდებელი და საყოველთაოდ ცნობილი სამეცნიერო ცენტრის დამაარსებელი, აკადემიკოსი

ფრიდონ თოდუა

მისი ნათელი ხსოვნა, როგორც დიდი მეცნიერის, საყვარელი მასწავლებლის და საიმედო მკურნალისა, სამუდამოდ დარჩება მაღლიერი ქართველი ხალხის გულში.

28 წლის ახალგაზრდა საქუთარ სანლთან ჩაახრჩვეს

ოქსფორდის მუნიციპალიტეტის სოფელ გურიანთაში 28 წლის მამაკაცი საქუთარ საცხოვრებელ სახლთან ჩაახრჩვეს. როგორც ადგილობრივები აცხადებენ, მკვლეელი, სავარაუდოდ, ჩასაფრებული იყო და მსხვერპლს უცდიდა. გასროლა მაშინ მოხდა, როცა მამაკაცი ეზოს შესასვლელთან მანქანა გააჩერა და ჭიშკრის გასაღებად გადმოვიდა. ცეცხლსასროლი იარაღიდან მიყენებული ჭრილობისგან ის ადგილზევე გარდაიცვალა. მეზობლების ინფორმაციით, ახალგაზრდა მამაკაცს 9 ჭყვიან ჰქონდა მოხვედრილი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306⁶ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი პოლიტექნიკ“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ლერი ხარძიანის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ლერი ხარძიანი (პ/ნ 12001025698), თბილისი, ქვემო ფონიჭალა, გულბანის 14.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

თბილისი, სოფელი ფონიჭალა (საკადასტრო კოდი: 81.05.09.962).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი ხანივით ვალდებულებებით.

2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 9883.20 ლარი;

3. აუქციონის დაწყების თარიღი: 2017 წლის 9 ოქტომბერი, 14:00 საათი.

4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2017 წლის 24 ოქტომბერი, 14:00 საათი.

5. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZP47288317;

აუქციონის ნომერი: 71271

ლოტის ნომერი: 472883

6. მოვალე: ლერი ხარძიანი (პ/ნ 12001025698), თბილისი, ქვემო ფონიჭალა, გულბანის 14.

7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი პოლიტექნიკ“ (ს/ს 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.

8. აუქციონის პირობები:

● აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

● მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

● აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბუნეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი - ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.

● აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შექმნიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი პოლიტექნიკ“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „ვითიბი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP47288317; ლოტის ნომერი: 472883).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 24 ოქტომბრის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

ყურანზე დაფიქსირების ფაქტები ჯერ არ დადასტურებულა!

საქართველოს იუსტიციის მინისტრი და უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარე თეა წულუკიანი, ბაღეში შედგენილი „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა სიებში და მმართველი პარტიის წინასაარჩევნო კამპანიაში ბაღეშის დირექტორების შესაძლო მონაწილეობის საკითხს ეხმაურება. წულუკიანიმ საჯარო დაწესებულებების თანამშრომლებს მიმართა, რომ გაეცნონ კანონს და დაიცვან ის:

„მოვუწოდებ თითოეულ მასწავლებელს, თითოეულ რესურსცენტრის ხელმძღვანელს და თითოეულ ბაგა-ბაღის მასწავლებელს, რომ ჩახედონ ინსტრუქციებს, ჩახედონ კანონს და იცოდნენ, რომ ისინი არიან ნეიტრალური პირები, ისინი თავიანთ პოზიციას გამოხატავენ პირველ რიგში საარჩევნო ურანსთან ფარულად და რომ მათ ეკრძალებათ პოლიტიკური სიმბოლოების შეტანა სკოლებში, სიების შეგროვება და ა.შ.“ - აცხადებს თეა წულუკიანი.

წულუკიანი დმანისის მუნიციპალიტეტში, „ქართული ოცნების“ კანდიდატის სასარგებლოდ ხმის მიცემის პირობის ჩამორთმევისა და ყურანზე დაფიქსირების შესაძლო ფაქტებს გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ფაქტს სამართალდამცავები გამოიძიებენ.



„არის დმანისის მუნიციპალიტეტში ყურანზე დაფიქსირების ფაქტები, მოვისმინეთ „ქართული ოცნებისგან“ ინფორმაცია, რომ მათ უმჯავრესი დირექტივები გასცეს თავიანთი პტივზე, რომ თუ ამგვარი რამ იყო მომხდარი და ამას უკვე სამართალდამცავი ორგანოები დაადგინენ, მომავალში ყველამ თავი უნდა შეიკავოს,“ - განაცხადა თეა წულუკიანი.

ბანცხადება

2017 წლის 1 დეკემბერს, 14 საათზე, ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ხონი, თავისუფლების მოედანი №6) გაიმართება ქ. ხონის კანალიზაციის გაწყვენი კოლექტორის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს, ქ. ხონის მუნიციპალიტეტის ჩამდინარე წყლების არსებული, დაზიანებული და მწყობრიდან გამოსული გამყვანი კოლექტორის ნაცვლად, ახლი 5.024 კმ სიგრძის მონაკვეთის მშენებლობას და ექსპლუატაციას.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

● ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში - ქ. ხონი, თავისუფლების მოედანი 6;

● შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში - ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირს: ჯუღული ახვლედიანი. ტელ: 2 60 15 27; E-mail: jakhvlediani@gamma.ge;

გზშ-ს ანგარიშთან დაკავშირებული შენიშვნებისა და კომენტარების წარმოდგენა შესაძლებელია განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის ვადაში.

შპს „გამართიანობა“
წყალმომარაგების კომპანია

სსიპ საქართველოს მუნიციპალური ბანკოთარების ფონდის ბანცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 12 ოქტომბრის №1-1/425 ბრძანების შესაბამისად

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროექტის ფარგლებში ახიის განვითარების ბანკის დაფინანსებით ახორციელებს თბილისი - წითელი ხიდის საავტომობილო გზის (თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალის) რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის პროექტს, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პროექტს.

თბილისი-რუსთავის მონაკვეთი წარმოადგენს თბილისი-წითელი ხიდის (ახერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) ჩქაროსნული გზის ნაწილს. თბილისი-რუსთავის მონაკვეთი სამი ნაწილისაგან შედგება. პროექტი ითვალისწინებს არსებული 17,1 კმ. სიგრძის, 2 ზოლიანი თბილისი-რუსთავის გზის მოდერნიზირებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. I -III მონაკვეთი დასრულდა. II მონაკვეთზე დამტკიცებულია მიწის გამოსედივისა და განსახლების გეგმა და გარემოსდაცვითი ანგარიში. მეორე მონაკვეთი (კმ. 4+000 - კმ 10+ 800) ახალი ურბანული ტიპის გზაა. ამ მონაკვეთით გათვალისწინებული არსებული გზის გაფართოებას ძლიერი ზემოქმედება ექნებოდა, ამიტომ უპირატესობა მიენიჭა ახალი გზის მშენებლობას. გზის განივიკვეთი 4 ზოლიანია, თითოეული ზოლის სიგანე 3,75 მ, გზის

სამოსი ახვალტობეტონისაა, კონსტრუქციები: სატრანსპორტო კვანძები, ორი მიწისქვეშა გზაგამტარი, ოთხი სატრანსპორტო ხიდი და ოთხი საფეხმავლო ხიდი.

თბილისი-რუსთავის სატრანსპორტო კვანძის მე-2 მონაკვეთზე (კმ. 4+000 - კმ 10+ 800) პროექტის განხორციელებისას წარმოიშვა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული, კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოს მიერ გამოსედივის აუცილებლობა. მესაკუთრეებს წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება მიწის შესყიდვისა და განსახლების სამოქმედო გეგმით(LARP) განსახდებელი საკომპენსაციო თანხის სანაცვლოდ. ამავე შეტყობინებით მესაკუთრეები ინფორმირებულ იქნენ, რომ მათი უარის შემთხვევაში, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იმოქმედებდა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და პროექტის ფარგლებში მოქცეულ მათ საკუთრებაზე/საკუთრების ნაწილზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით მიმართავდა კანონმდებლობით დადგენილ ღონისძიებებს. სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ უძრავი ქონე-

ბის გამოსედივის შესახებ შეთანხმება მიღწეულ იქნა მესაკუთრეების უმეტეს ნაწილთან, ხოლო შეთანხმებამდეწეული ქონების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის საკითხი განხილულ იქნა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების მიზნით საკითხის განხილველი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 25 მარტის 1-1/159 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განხილველი კომისიის მიერ.

2017 წლის 2 ოქტომბერს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 1-1/425 ბრძანება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“, რომლითაც ექსპროპრიაციის უფლების მინიჭებულ სუბიექტად დადგინდა სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე)

თბილისი - წითელი ხიდის საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის სატრანსპორტო კვანძის მე-2 მონაკვეთის (კმ. 4+000 - კმ 10+ 800) რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის პროექტით განსახდებელი სამუშაოებისათვის სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს ეხატორობა ეკატერინე გვერტაძის უძრავი ქონება: უძრავი ქონების საკადასტრო კოდი - №01.18.12.003.011. 11.500, საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: ფართი 6.03 კვ.მ სათავსი, მის. ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი, №6 კორპუსი. პროექტისათვის საჭირო მიწის ნაკვეთებზე ექსპროპრიაციის უფლების მოსაპოვებლად სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი უახლოეს დროში მიმართავს რაიონულ(საქალაქო)სასამართლოს.

უძრავი ქონების მესაკუთრეებს დამატებით ეცნობათ სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლო განხილვის თარიღი.

პულოსავით!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია და ფაზისის საერთო-სამეცნიერო აკადემია გულითადად ულოცავენ ფაზისის აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებლის, ცნობილი ჟურნალისტის, სულმნათი რუსლან რუსიას ვაჟიშვილს

ილიას

მაგისტრატურაში ჩარიცხვას, უსურვებენ შემოქმედებით წარმატებებსა და პირად ბედნიერებას.

აზიური ფაროსანა და საბავშვო ბაღში შეწყვეტილი სასწავლო პროცესი

ბათუმის 23-ე საბავშვო ბაღში აზიური ფაროსანას შემოსვლის გამო, სასწავლო პროცესი შეწყდა.

როგორც ბაღის თანამშრომლები ამბობენ, ფაროსანას თითქმის დაფარული ჰქონდა ფანჯრები და კედლები.

ბაღის გამგის თამარ ნაგერვაძის თქმით, მომხდარზე დაუყოვნებლივ აცნობეს ბათუმის ბაღების გაერთიანებას.

მისივე განმარტებით, ადგილზე შემოსვლის შემდეგ დირექტორმა მერიასთან შეთანხმებით სასწავლო პროცესის შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო.

საბავშვო ბაღში სასწავლო პროცესი ორი დღით შეწყდა, თუმცა ვითარების გაართულების შემთხვევაში შესაძლოა, დრო გახანგრძლივდეს.

ამბროლაურის რეგიონის რეგიონის დაკავშირებით, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგიონის საკოორდინაციო შტაბი გაიხსნა

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში დღეისთვის გახსნილია 6 მიმღები პუნქტი. 12 კომპანია უკვე რაჭაშია და მზად არის გადაამუშაოს რაჭა-ლეჩხუმის რეგიონის ყურძნის მოსავალი.

ჯიშობრივი სიზუსტის დაცვის მიზნით, რეგიონის პროცესში ჩართულები არიან ამპელოგრაფები.

წინასწარი მონაცემებით, წელს რაჭაში 700-800 ტონამდე მუჯურეთის და ალექსანდროლის მოსავალი გადაამუშავდება.

დაცული ადგილწარმოშობის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, „ხვანჭკარის“ ჯიშებზე ალექსანდროულსა და მუჯურეთულზე 1კგ-ზე სუბსიდიის გაცემა 2 ლარს;

ამასთან ერთად, რეგიონის გრძელდება კახეთის რეგიონში. 9 ოქტომბრის მონაცემებით, კახეთის რეგიონში გადაამუშავებულია 111,5 ათასამდე

ტონა ყურძენი. მევენახეების შემოსავლებმა რეგიონის დანახვებიდან დღემდე 130 მლნ ლარს მიაღწია.



ტონა ყურძენი. მევენახეების შემოსავლებმა რეგიონის დანახვებიდან დღემდე 130 მლნ ლარს მიაღწია.


რას ზავით მივიწავით...

ზედ სართულებზე ცხოვრება შესაძლოა, ნევროზებისა და პანიკური შიშის შემოტევის მიზეზი გახდეს.

ფსიქოლოგები ვარაუდობენ, რომ დიდ სიმაღლეზე ყოფნისას ნერვული სისტემა გამუდმებით, თუმცა კი შეუცნობლად, შიშის მდგომარეობაში იმყოფება. გამოკვლევამ დაადგინა, რომ კაცი ყველაზე კომფორტულად თავს მაშინ გრძნობს, თუკი მისი საცხოვრისი მე-2 და მე-7 სართულების ფარგლებშია.



შენიშნული თვის „ბარაკა“



ინფორმაციის ერთი უძველესი წიგნაა: დიდი წარმატების, მოულოდნელი სიხარულისა თუ ბედნიერების შემთხვევაში, კაცმა თმა უნდა შეიჭრას.

და შემდეგ ის საყდარს შესწიროს. ქალაქ ტირუპატის მართო ერთი ტაძარი შემონიშნული თმების გაყიდვით ყოველწლიურად 5 მილიონ დოლარ შემოსავალს იღებს.

ყველაფერი განსხვავებულია

მამაკაცები და ქალები სტრესს განსხვავებულად უმკლავდებიან: მანდილოსნები სტრესს, ძირითადად, საკვების მიღებით თრგუნავენ, მამაკაცები კი სექსს, ან პორნოს მიმართავენ, — დაადგინეს ბრიტანელმა მეცნიერებმა. გარდა ამისა, ფსიქოთერაპევტთან მისული მამაკაცები პრობლემის რაც შეიძლება სწრაფად გადაჭრას ითხოვენ, ქალბატონებს კი უფრო საკუთარი გრძობებისა და წარსულის განხილვა იზიდავთ.

გამოკვლევის შედეგად გაირკვა, რომ მამაკაცების 27 და ქალების 11 პროცენტი სტრესის დონეს სექსისა და პორნოგრაფიის მეშვეობით იქვეითებდნენ, საკვები კი ქალების 50 და მამაკაცების 30 პროცენტს ამშვიდებდა.



ამასთან, მეცნიერებმა ოცი გამოცდილი ფსიქოთერაპევტიც გამოკითხეს თავიანთ პაციენტთა გენდერული განსხვავებების თაობაზე და გაირკვა, რომ მამაკაცები სპეციალისტებს, ძირითადად, სამსახურთან დაკავშირებული პრობლემების გამო აკითხავდნენ, ქალებისთვის სტრესების მთავარი მიზეზი პირადული ურთიერთობები იყო.

ისიც აღინიშნა, რომ, მართალია, მამაკაცები ფსიქიატრებს ქალებზე იშვიათად აკითხავენ, სამაგიეროდ, ისინი სამოთხეჯერ უფრო ხშირად იკლავენ თავს.

მომზადდა ნინო ალექსანდრიამ

განსაცინებელი ა(მ)ბები

კონკურენცია

ჩიკაგოს ერთ-ერთ ქუჩაზე ერთმანეთის გვერდგვერდ სამი თერძის სამი სახელოსნოა. თავისი კონკურენტებისთვის რომ ეჯობნა, ერთმა თერძმა ასეთი აბრა გამოაქრა:

„ჩიკაგოში ყველაზე საუკეთესო თერძი“.

მეორე თერძმა კიდევ უფრო ყოვლისმომცველი აბრა მოიფიქრა:

„ამქვეყნად ყველაზე უკეთესი თერძი“.

მესამეს თითქოს უკეთესი ვერცრა უნდა მოეფიქრებინა, მაგრამ ფარ-ხმალი არ დაყარა და სახელოსნოს კარზეც გაჩნდა აბრა: „ამ ქუჩაზე ყველაზე საუკეთესო თერძი“.

გაუჩინარება

ბარნიზის პოლიციის კომისარიატში საშუალო ასაკის მამაკაცი

ცი მივიდა და განცხადება მიიტანა ცოლის გაუჩინარების თაობაზე.

— როდის გაუჩინარდა? — ჰკითხა მორიგე ოფიცერმა.

— ხუთი წელია, უკვე.

— ხუთი! მერე ახლა აცხადებ შე, კაი კაცო?!

— იცით რა, ბატონო ინსპექტორო, აქამდე არ მეჯერა...

სამსახურებრივი საიდუმლოება

პენტაგონში ჩინოვნიკის საწერი მაგიდის თავზე პლაკატი კიდეა:

„ნურაფერს ნუ მკითხავთ. სამსახურებრივი საიდუმლოება იმდენად მკაცრი რამ არის, რომ თვითონ არ ვიცირას ვაკეთებ“.

კეთილი რჩევა

ანტრამტის დროს ბროდვეის თეატრის მსახიობი დაქალს შესჩივის:

— ხომ გახსოვს, ბრილიანტის ყელსაბამი რომ მქონდა, დავკარგე უკვე შვიდ ქმარს გავეყარე, ერთი ნამდვილი თავადიშვილი იყო, ჩემი გულისთვის თავს იკლაგდა.

ვერ მეტყვი, კიდევ რა უნდა ვქნა, რომ პუბლიკა გავაკვიროვ?

— მიდი, სცადე, — ურჩია დაქალმა, — თუნდაც ერთხელ მაინც შეისწავლე შენი როლი.

დაასწავს

ახალგაზრდა ინგლისელი არისტოკრატი გაკოტრდა და ძველ მეგობარს უხმო თავისთან.

— ჯეიმს, ვილუბები. — უთხრა მეგობარს.

— ძალიანაც ცუდი ამბავია, სერ.

— მაგრამ ერთი გამოსავალი მაინც არის. უნდა ჩემი წინაპრების

პორტრეტები გაყვიდო. ყველა ტილო სახელგანთქმულ მხატვრებს ეკუთვნით, მგონი. კარგ ფულს ავიღებ, მაგრამ სირცხვილი რომ არა ვჭამო, შენს ასლებს შევუკვეთავ და ორიგინალებს ნაცვლად კედელზე დავკიდებ.

— მამატიე სერ, ეგ არ გამოვა.

— რატომ, ჯეიმს?

— იმიტომ არ გამოვა, რომ ეგ ერთხელ უკვე გამაკეთებინა მამაშენმა.



საქართველოს რესპუბლიკა

საკრთველოს რესპუბლიკა
სულხან-საბას ძ. №3
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოშულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გომიანაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაქიძე
514 33-33-24

გამომცემლობა:
შპს „თანამდგომარეობა“-1-გაზეთ
„საქართველოს რესპუბლიკის“
გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესი“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაქ)070.4(479.22)
ს-323



ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთილი მასალაში დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, გულად არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ვაქციაში სიზუსტეზე პასუხს აბეზან ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“
შენი გაზეთია,
უსილებლად
წაიკითხე!

უსსოპრი ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4790; ევრო - 2.9032;
ბრიტანული პირპენს სტერლინგი - 3.2401;
100 რუბლი - 4.2899; თურქული ლირა - 0.6847;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4591;
1000 სომხური დრამი - 5.1916.

აივნი 10 ოქტომბრისთვის
აქციონარული საქართველო:
ბარი - ღამე +10, დღე +24
პირიანი რაიონები - ღამე +4, დღე +20
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +12, დღე +21
პირიანი რაიონები - ღამე +7, დღე +20
თბილისი: ღამე +13, დღე +22

დაავიკავით, მოგვანათ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge